პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 177 (18719) ოთხშაბათი, 3 აგვისტო 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ავტოტრანსპორტელთა გადაუდებელი ამოცანები

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა დაგვისახა დიდი და სახატო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტისთვისაც ჩვენს რესპუბლიკაში ნამდვილი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელებაში სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებს შორის ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ავტოტრანსპორტს.

მაინც როგორი ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემებით შეუდგა ახალახლი ამოცანების შესრულებას რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, რა დონეზეა იგი? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეკონომიკის მიღწევები უკანასკნელ ათწლეულში ამ დარგის გამართულმა მუშაობამაც ბევრად განაპირობა. ავტოტრანსპორტის განვითარება ზემოაღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა დინამიკურად, სიხტემატურად იზრდებოდა ტვირთნაგვის მოცულობის საშუალო წლიური ტემპი. ტრანსპორტის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით 1977 წლიდან განხორციელდა ორრგოლიანი მართვის სისტემა: სამინისტრო — სატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება. თითოეულ გაერთიანებას შემადგენლობაში ახლა 5-7 ავტოსაწარმოა, რომლებიც ცალკეულ ეკონომიკურ რეგიონებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქს, დიდ ქალაქებსა და ადმინისტრაციულ რაიონებს ემსახურებიან. ამგვარად განხორციელდა საწარმოო სიმძლავრეების და მოძრავი შემადგენლობის პარკის კონცენტრაცია, სპეციალიზაცია, რამაც მკვეთრად გაიუმჯობესა მართვის ორგანიზაცია და აამაღლა რესურსებით მანევრირების ოპერატიულობა. ამას კი ისეთი დინამიკური დარგისათვის, როგორიც ავტოტრანსპორტია, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

მართვის ახალ სტრუქტურაზე გადასვლის შემდეგ ტვირთნაგვის მოცულობა 45 პროცენტით, ხოლო ტვირთბრუნვა 49 პროცენტით გადიდდა. სახალხო მეურნეობის მომსახურების ძირითადი ფორმა გახდა ცენტრალიზებული ტვირთნაგვა, რაც მისახალშებელია. ამ მეთოდის ხვედრითმა წილმა ტვირთნაგვის საერთო მოცულობაში დღეისათვის 80 პროცენტი შეადგინა და ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა. კარგია, რომ ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ავტოტრანსპორტელთა და რკინიგზელთა ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთკავშირი. იზრდება ტვირთნაგვის მოცულობა ავტომობილების საშუალებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაფართოვდა საქალაქთაშორისო ტვირთნაგვა რეგულარული რეისებით, გადიდდა კონტეინერებით გადაზიდვის მოცულობაც.

რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი, რა თქმა უნდა, მგზავრთა გადაყვანის საკითხია. ამ მიმართულებით საკმაოდ საგრძნობი ძვრებია. მართვის ახალ სტრუქტურაზე გადასვლის შემდეგ მგზავრთა გადაყვანის მოცულობა 26 პროცენტით, ხოლო მგზავრთბრუნვა 36 პროცენტით გაიზარდა. საერთო სარგებლობის ტრანსპორტი 280 საქალაქო, 1030 გარეუბანს და 570 საქალაქთაშორისო გეზს ემსახურება. ავტოტრანსპორტს მგზავრთა საერთო რაოდენობის 65 პროცენტი გადაჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საკითხი დღე-ღამის განმავლობაში 1.800 ათასი კაცი სარგებლობს. საქართველოს 55 სარესპუბლიკათშორისო მარშრუტი აქვს, რომელთა საერთო სიგრძე 112,8 ათასი კილომეტრია. ძვრები მგზავრთა კულტურული მომსახურების თვალსაზრისითაც შესამჩნევი გახდა.

ჩვენთვის სახალხამოვნოა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენებამ რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მაღალ დონეს მიაღწია: ორი უმნიშვნელოვანესი მონაცემის მიხედვით — სატვირთო ავტომობილების პარკის გამოყენების კოეფიციენტისა და ტრანსპორტის საღღამოსო მუშაობის სანერძლივობის მიხედვით ჩვენი სამინისტრო პირველობს, საგრძნობლად უსწრებს ამ მხრივ საუშალო საკავშირო მაჩვენებელს.

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მიღწევები უკანასკნელ ხანს დამაჯერებელია, მაგრამ მიღწეულის ფონზე თვალშისაცემია ნაკლოვანებებიც. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, ტრანსპორტის გარბენისა და საუშალო საექსპლოატაციო სიჩქარის დაბალი დონე. საქმე ის არის, რომ გარბენის გამოყენების კოეფიციენტი კავშირში საუშალოდ 0,626, ხოლო ჩვენთან 0.582 შეადგენს. ამ ჩამორჩენის მიზეზია ის, რომ დიდი სამინისტროში სპეციალიზებული მძიმავი შემადგენლობის ავტომპარკის ხვედრითი წილი, გადაკარბებულად იყენებენ საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტს ტექნოლოგიური ტვირთნაგვისათვის.

ეს, ასე ვთქვათ, ამ ხარვეზის ერთი მხარეა, მაგრამ არის მეორეც და არანაკლებ მნიშვნელოვანი. ცუდად არის გამოყენებული გარბენის კოეფიციენტის გადიდების რეზერვები, საკმარისად არ სარგებლობენ სამარშრუტო სიხტემების ოპტიმიზაციის თანამეტკოცური მეთოდებით, ბევრი რამეა გამოსასწორებელი ტვირთნაგვის პროცესების მართვის ორგანიზაციაშიც. გარბენის კოეფიციენტის გაუმჯობესებისათვის მეტად უნდა იზრუნონ თბილისის, რუსთავისა და სამტრედიის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებებმა, გარბენის შესაფერებლად საჭიროა გადიდდეს საქალაქთაშორისო და სარეს-პუბლიკათშორისო ტვირთნაგვის მოცულობა, შეიქმნას სპეციალიზებული ავტოსაწარმოები, გამოვიყენოთ ტვირთნაგვის თანამეტკოცური მეთოდები და შედეგს ოპტიმალური სამარშრუტო სქემები.

ასევე დღემდე კარგად არ არის საქმე გაერთიანებების, ცალკეული ავტოსატრანსპორტო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მხრივაც. სათადარიგო ნაწილების ნაკლებობა ხშირად იწვევს მძღოლთა, სხვა მუშაკთა უკმაყოფილებას. აქ არც თუ იშვიათად საქმე გვაქვს ობიექტურთან ერთად სუბიექტურ მიზეზებთან. ამიტომ კონკრეტულად უნდა ვეხრძოლოთ და გამოვაშკარაოთ ისინი, ვინც ამ მიმართულებით ხელოვნურად აბრკოლებს მუშაობას, ყოველმხრივ გადავუკეთო გზები მომარაგებაში მოკალათებულ არაკეთილსინდისიერ ადამიანებს.

ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე აუცილებელია ყურადღების ცენტრში მოექცეს სამინისტროს ყველა გაერთიანებისა და სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

აღმშენებლობითი მუშაობის მხრივ სამინისტროს სისტემაში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. მართალია, წლეულს შარშანდელთან და მით უმეტეს შარშანწინდელთან შედარებით იკლო მგზავრთა პრეტენზიებმა, მაგრამ საქმეები სასურველი მიზანი მიღწეული რჩება. მოკალაქენი კვლავ უჩივიან ცალკეულ მძღოლთა უტაქტობას, აღვირახსნილობას, ხულიგნურ გამოდგომებს, მათ მიერ მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, და სხვა. ეს კი ავტოტრანსპორტზე ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია და ყველაფერი უნდა ვიღონოთ მდგომარეობის გამოსახსორებლად. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებს, ქმედითი კონტროლი დაუწესონ მათ მუშაობას.

ახლა სოფლად ცხარე დღეებია ჭირნახულის დროულად და უკანკალოდ დახარისხებულად. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ავტოტრანსპორტის შესაძლებლობანი, ოპერატიულად დავეხმაროთ სასოფლო რაიონებს გადაუდებელი სამუშაოების შესრულებაში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში ავტოტრანსპორტელთა ამოცანები მეტად პასუხსაგები და სერიოზულია; კვლავ მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს გარბენის გამოყენების კოეფიციენტი, სატვირთო ავტომობილების ხაზზე მუშაობის ხანგრძლივობა, განსაკუთრებით ცენტრალიზებული ტვირთნაგვა, მიხაბმელებით ტვირთის გადატანის მოცულობა, ფართოდ უნდა გავრცელდეს ბრიგადული იჯარით მუშაობის ფორმა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლექტივი ღირსეულ შეხვედრას უმზადებს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ტექნიკური და ხალხგანმსაზღვრელი ხასიათის ნიერთულითა თანდათან დაძლევით იგი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. ამაზე მეტყველებს მიმდინარე წლის ექვსი თვის შედეგები. ამ ხნის განმავლობაში საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით 88 მილიონი ტვირთი გადაიზიდა და სახელმწიფო გეგმა 102,1 პროცენტით შესრულდა, რაც შეეხება ტვირთბრუნვის დავალებას, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით იგი 5,5 პროცენტით გაიზარდა.

ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კვლავაც შევინარჩუნოთ მოპოვებული წარმატებანი, ბრძოლა გამოვუცხადოთ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, უდისციპლინობას, უყაირათობას და გაანუხრელად ვიბრძოლოთ ხკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის.

საქმეზე გამოაჩინა

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებას აღწევს თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მექანიკური ქარხნის გამმართველი ბოგდან ჩიტაიშვილი. შრომისა და ოსტატობის ვეტერანი, 69 წლის მუშა ხაქმისადმი ნამდვილ კომუნისტურ დამოკიდებულებას იჩენს, მის ნახელავს კონტროლი არ სჭირდება. პროფესიაში ხაუკეთესო, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ბოგდან ჩიტაიშვილი ახალგაზრდობის უბადლო აღმზრდელიც გახლავთ. მან 40 გაბუკს შეასწავლა ჩარხმშენებლობის ხაიდუმლოება.

სურათზე: ბოგდან ჩიტაიშვილი.

ა. საპაკოვის ფოტო.

გეგმის გადამეტებით

მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ამიერკავკასიის რკინიგზელებმა ახალ გამარჯვებას მიაღწიეს. მათ ვადამდე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო პროდუქციის დატვირთვისა და გაგზავნის, აგრეთვე გადაზიდვის საერთო მოცულობის მვიდი თვის გეგმა. გეგმის გადაჭარბებით გაგზავნილია ასობით ტონა ტვირთი, მათ შორის ნავთობპროდუქტები, მანგანუმი, საშენი მასალები. (საინფორმი).

ეს დღეები სოფლად

ვთიბოთ ყოველდღიურად!

ზამთრისათვის პირუტყვის საკვების მომარაგების ორგანიზებულად შეუდგნენ თერჯოლელი საკვებმომპოვებლები. მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა შემჭიდროებულ ვადებში აიღეს შუალედური კულტურების მწვანე მასა და ტექნოლოგიის დაცვით უზრუნველყვეს 3.200 ტონა სენაჟის დამზადება, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

ნავარაუდევზე ორჯერ მეტი სენაჟი დაამზადეს ნახშირლელის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლებმა. ახლა ისინი თივის დამზადებაზე არიან დასაქმებული და უახლოეს დღეებში ამ დავალებასაც გაანაღდებენ.

სენაჟის დამზადების დავალებანი დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხიდის სამონტაჟის მუშაკების, არამედ ყველა ჩვენგანის საზრუნავი და საფიქრალია.

სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლის შენობას მთლიანად შეეცვლება სახურავი, იატაკი, შეკეთდება საქვაბე მოწყობილობა, ცენტრალური გათბობის მთელი ქსელი. ამისათვის საჭირო თანხას მარტო სკოლა და განათლების რაიონული განყოფილება ვერ გაიღებდნენ, მეცხვაროეობის საკოლმეურნეოგბათაშორისო მეურნეობის საბჭომ (თავმჯდომარე — გ. ცხვარაიშვილი) ითავა საქმე. მან მარტო სახსრები კი არ ჩაურიცხა სკოლას, როგორც ზოგიერთმა

უქმნა ბალახის ზრდას, რაც მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მთიბავებმა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ამ საქმეს სათანადოდ არ ეკიდებიან რაიონის ზოგიერთი მეურნეობათა ხელმძღვანელები. ახლა გაცდენილი ყოველი დღე ტონობით დაკარგული თივაა, და ეს არ უნდა დაუშვან.

დმანისის რაიონის მშრომელები თავდადებით იბრძვიან გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის. ამჯერად თავი ისახელეს საკვებმომპოვებლებმა, რომლებმაც მიუხედავად უამინდობისა ყველაფერი იღონეს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტაცეცა საკვები ბაზის შექმნისათვის. მათ 20 ივლისისათვის საგეგმო 25 ათასი ტონა სილოსის ნაცვლად დაამზადეს 25.500 ტონა, 16 ათასი ტონა სენაჟის ნაცვლად — 16.100 ტონა. საკვების დამზადება კვლავ წარმატებით მიმდინარეობს.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

არის წლიური ვალდებულება

სასიხარულო ცნობა მოვიდა მახარაძის რაიონიდან. „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი ბ. ჩხაიძე გვატყობინებს: სოფელ მერიის კოლმეურნეობაში ბევრი წარჩინებული მჩაიეა. მაგრამ ლამარა თავბერიძე ერთი პირველთაგანია. ნოვატორმა მეჩაიემ გეორგიევსკი ტრაქტატის 200 წლისთავისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება 20 ივლისისათვის შეასრულა — წარმოებას ჩაბარა ვალდებულებით გათვალისწინებული 15 ტონა ჩაის ფოთოლი. დამზადებული ნედლეულის 78 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

წარჩინებულ მეჩაიეს გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე დამატებით მოკრეფოს სულ ცოტა 5 ტონა ნედლეული.

მშრომელთა სუფრისათვის

ამბროლაური. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). მეოთხედ საუკუნეზე მეტია გემრიელ თევზს აწვდიან რესპუბლიკის მშრომელებს აქაური მეთევზეები. სახალხო მეურნეობის ამ ახალ დარგს აქ მაორის წყალსაცავის შექმნისთანავე ჩაეყარა საფუძველი. თევზის რეწვას მაორის თევზჭერის მეურნეობა (უფროსი — მ. კობახიძე) ეწევა. წელს აქაურმა მეთევზეებმა გეგმა-ვალდებულებით 43 ტონა თევზი უნდა შემატონ მშრომელთა სუფრას.

მებადურეები კარგად მოემზადნენ თევზჭერის სეზონისათვის. მათ დროულად მოიმარაგეს მოტორიანი ნავები, ჩასადგმელი და მოსასმელი ბადეები. მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა, თევზის რეწვა დაიწყო. მეურნეობამ უკვე დაიჭირა და მაღაზიებს ჩაბარა თევზის პირველი პartია — ოთხი ტონა.

მეთევზეებს გადაწყვეტილი აქვთ თევზჭერის წლიური დავალება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეო დღისათვის შეასრულონ.

სამზეო სახელები

სერგო მოსესოვი... ბათუმის ხიხადამშუშავებელი კომბინატის დირექტორი... საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი...

როცა გაზეთისათვის მის შესახებ პატარა ნარკვევის დაწერა დამავალეს, გამიხარდა. სერგო და მისი მეუღლე, ლამარა ბოლქვაძე, ჩემი დიდი ხნის მეგობრები არიან, მეგობრებზე წერა კი თუმცა ძნელია, მაგრამ სახიამოვნოა. ლამარა ბოლქვაძე ამჟამად აბარის ახსრ კინოფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ქალთა რესპუბლიკური საზოგადოების თავმჯდომარეა და დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. მას ახლახან მივულოცეთ დისერტაციის დაცვაც.

ლამარას სამსახურში დავურეკე, მინდოდა სერგოს ამბავი იქიდან დამეწყო. ჩემი განზრახვა რომ გაიგო, მითხრა: თუ სერგოზე წერ, სერგოზე დაწერე, ჩემი სახელი კი არ ახსენოო.

— რატომ, კაცს კარგი მეუღლე რომ ჰყავს და კარგი ოჯახი აქვს, განა ეს პატარა საქმეა?

— მაინც ჯობს, კომბინატზე დაწერო.

... ბათუმის ხიხ დამშუშავებელ კომბინატზე საგაზეთო წერილში რა უნდა თქვა. დაწერა მითხარი, თორემ ამ საწარმოზე ახლა რატომ არ შეიძლება დიდი წიგნიც დაიწეროს?

ამ დღეს თბილისში, რედაქციიდან რომ გამოვედი, რუსთაველის პროსპექტზე მეგობარი მწერლები შემხვდნენ. შევჩერდით, ვისაუბრეთ. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა საუბარი უნებლიეთ ბათუმურ სამზარეულო ავეჯზე ჩამოვარდა. მითხრეს, შენ ბათუმში ბევრი მეგობარი გყავს და იქნებ მოგვიხერხო მაგ ავეჯის შეძენაო.

საწარმოსათვის ამაზე დიდი რეკლამა რა უნდა იყოს!

როცა ბათუმში ეს ამბავი ვუამბე სერგო მოსესოვს, მან ჯერ გაიღიმა, მერე მაგიდის უჯრიდან წერილების დასტა ამოიღო. ხვერდლოვსკიდან, როსტოვიდან, სარატოვიდან, უფიდან მოდის კოლექტიური წერილები, თხოულობენ ვაგონით გაუგზავნონ ბათუმური სამზარეულო ავეჯის კომპლექტები — გამოგზავნისათვის ყველა დანახარჯებს გადავიხდითო.

სვერდლოვსკელი მუშა ქალი წერს: „შარშან ჩვენი მეგობარი ქალი თქვენთან ზღვაზე იხვენებდა. მან ბათუმში იყიდა და გამოგზავნა თქვენი კომბინატის გამოშვებული სამზარეულო ავეჯის კომპლექტი. ეს ავეჯი იმპორტულზე უკეთესია. გთხოვთ დაგვეხმაროთ ერთი ასეთი კომპლექტის შეძენაში“.

— ასეთი მაღალი შეფასება ძალიან გვახარებს. — ამბობს კომბინატის დირექტორი, — მაგრამ რა ვქნათ, ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძნელია.

ჩემი შეკითხვა ტრადიციულია: როგორ მიაღწიეთ ამას, ასეთი მაღალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვებას?

— ამისათვის ბევრი რამ იყო საჭირო. უმთავრესი კი მაინც მაღალი საშემსრულებლო დისციპლინაა. დისციპლინა ჩვენთან ცარიელი სიტყვა როდია. ის სახელოოჯამში ნიშნავს ფულს, პრემიას, მორალურ წახალისებას. წარმოების მაღალი ეფექტიანობისათვის რომ იბრძოლოს, მუშა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ბეჯითი შრომა სათანადოდ აუნაზღაურდება. ამ მიმართულებით ჩვენ გაბედულად დავნერგეთ ხარისხის მართვის სარატოვული მეთოდი. რა არის მისი არსი? ახლა ყველა მუშამ იცის, რომ არ იქნება პრემია, თუკი დამზადებული დეტალების 90 პროცენტი მაინც არ იქნა ხახელმწიფო ხარისხის ნიშანით შესრულებული. პრემია ყოველთვიურია. ვიცი, გაზეთს ციფრები არ უყვარს, — ღიმილით განაგრძობს სერგო მოსესოვი, — მაგრამ ზოგიერთ რამეს მაინც გეტყვით. 1980 წელს მატერიალური წახალისების ფონდში ჩავრიცხეთ 68 ათასი მანეთი, 1982 წელს — 87 ათასი მანეთი, ხოლო შარშან — 152 ათასი მანეთი. — ჩვენი მეავეჯე ყოველთვიურად იღებს პრემიას, ხოლო მეცამეტე ხელფასი საშუალოდ 300 მანეთზე წაკლები არ გამოდის...

წლეულს კომბინატის კოლექტივს გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა სახჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დროშა, რომელიც მათ ხოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვეს. ეს უკვე მერამდენედ ამ ბოლო წლებში!

ხ. მოსესოვი ამ კომბინატში 1955 წელს მოვიდა, ჯერ კიდევ ხრულიად ახალგაზრდა. იგი დაიბადა ბორჯომის რაიონის სოფელ ბაკურიანში. მამა დურგალი ყავდა, შვილს მან შეაყვარა ხალეურგლო საქმე. სერგომ კომბინატში მუშაობა ოსტატად დაიწყო. მერე ხაამქროს გამგედ დაწინაურეს. იყო კომკავშირის კომიტეტის მდივანიც. როცა ორგანიზატორულ მუშაობაში თავი გამოიჩინა, გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დირექტორად გადაიყვანეს. მერე იქიდან ისევ თავის კომბინატს დაუბრუნეს... ახლა უკვე დირექტორად. მას შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა. ადვილი საქმე როდია დიდი საწარმოს დირექტორობა. მით უმეტეს, რომ კომბინატი ფუნქციონალური ეროვნული ... ველოთვის კარგად რიდი ... საქმე.

— ახლა წარმატებანი გვაქვს და გვიხარია, — ამბობს სერგო, — მაგრამ 1960 წლამდე ჩვენი კომბინატი 800 ათასი მანეთის წაგებით იგეგმებოდა, რენტაბელობის დონე მინუს 15 პროცენტით განიხაზღვრებოდა. ახლა ეს უნდა ასეთი მუშაობა? გადავწყვიტეთ, მალე გამოგვენახა მდგომარეობიდან გამოსავალი. გამოვნახეთ კიდეც! ცხოვრებას ფეხი ავუწყეთ, ახალი ტექნოლოგიის, ახალი სინთეზური მასალების გამოყენებაზე გადავედით. დადად გაგვიმართლა იმედი სინთეზური შპონის გამოყენებამ, უნარჩენო წარმოების მოწყობამ. რამდენი დრო, რამდენი შრომა გვეხარჯებოდა, მაგალითად, წარმოების ნარჩენების გადაყრასა ან დაწვაზე. ახლა კი ამ ნარჩენებისაგან ხაუკეთესო ხარისხის კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო დანიშნულების ხაქონელს ვამზადებთ. მოგებაც ვნახეთ. მომხმარებელიც გავახარეთ.

აი, თუნდაც სამი წლის შედეგებს დავუკვირდეთ: 1980 წელს მოვიგეთ მილიონ 451 ათასი მანეთი, 1981 წელს — მილიონ 742 ათასი მანეთი, შარშან კი — ორი მილიონ 24 ათასი მანეთი!

როცა ვამბობ მოვიგეთ-მეთქი, ეს ბევრ რამეს ნიშნავს.

სერგო მოსესოვი ფოტოსურათებს მიჩვენებს.

— აი ასეთი ბარაკებიდან გამოვიყვანეთ ხალხი და კეთილმოწყობილ, თანამედროვე ბინებში შევასახლეთ. სამი სახლი ავაშენეთ, 140 ბავშვისათვის საკუთარი ბაგა-ბაღი გავხსენით.

ასეთია ჩვენი მოგება! მაგრამ მადლობა, ჩვენი ნაწარმის გამო მომხმარებელი რომ გვეუბნება, ხომ ფულით არ განიზომება!

— კიდევ რა სიახლეა თქვენი ავეჯის წარმოებაში?

— მალე გამოვუშვებთ საბარეულო ავეჯს ახალი მოდელით — „ამარა-80“. ეს მოდელი ჩემი ავტორობით იქმნება, — ცოტა უხერხულად ამბობს სერგო მოსესოვი, — თუ თავის ქებად არ ჩამეთვლება, მინდა იცოდეთ, რომ ამ ავეჯის კომპლექტმა წელს საქართველოს სახალხო მიღწევათა გამოფენაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. წელს გამოვუშვებთ 500 კომპლექტს. ვიმედოვნებთ, მომხმარებელი კვლავაც კმაყოფილი დაგვრჩება...

„ჩვენი კომბინატი“, „ჩვენი კოლექტივი“, „ჩვენი მიღწევები“, „ჩვენი ხარჯები“, ასეთია სერგო მოსესოვის სასაუბრო ლექსიკონი.

კაბინეტიდან რომ გამოვდიოდი, ერთ რამეზე ვფიქრობდი: რა ბედნიერებაა, როცა მთელი კომბინატი იმ განწყობილებით მუშაობს, რომ მათი ნახელავით მომხმარებელი, ადამიანი კმაყოფილი იყოს. და რა კარგია, რომ ასეთ კოლექტივს ხათავეში უდგას ავტორიტეტიანი, ენერგიული, თავისი საქმის მცოდნე, გამჩრჯე კაცი.

ზოთა როყვა.

* * *

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის კ. სანაძის ნახატი.

შთაგონებული შრომის სიხარული

ნით შესრულებული. პრემია ყოველთვიურია. ვიცი, გაზეთს ციფრები არ უყვარს, — ღიმილით განაგრძობს სერგო მოსესოვი, — მაგრამ ზოგიერთ რამეს მაინც გეტყვით. 1980 წელს მატერიალური წახალისების ფონდში ჩავრიცხეთ 68 ათასი მანეთი, 1982 წელს — 87 ათასი მანეთი, ხოლო შარშან — 152 ათასი მანეთი. — ჩვენი მეავეჯე ყოველთვიურად იღებს პრემიას, ხოლო მეცამეტე ხელფასი საშუალოდ 300 მანეთზე წაკლები არ გამოდის...

წლეულს კომბინატის კოლექტივს გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა სახჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დროშა, რომელიც მათ ხოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვეს. ეს უკვე მერამდენედ ამ ბოლო წლებში!

ხ. მოსესოვი ამ კომბინატში 1955 წელს მოვიდა, ჯერ კიდევ ხრულიად ახალგაზრდა. იგი დაიბადა ბორჯომის რაიონის სოფელ ბაკურიანში. მამა დურგალი ყავდა, შვილს მან შეაყვარა ხალეურგლო საქმე. სერგომ კომბინატში მუშაობა ოსტატად დაიწყო. მერე ხაამქროს გამგედ დაწინაურეს. იყო კომკავშირის კომიტეტის მდივანიც. როცა ორგანიზატორულ მუშაობაში თავი გამოიჩინა, გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დირექტორად გადაიყვანეს. მერე იქიდან ისევ თავის კომბინატს დაუბრუნეს... ახლა უკვე დირექტორად. მას შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა. ადვილი საქმე როდია დიდი საწარმოს დირექტორობა. მით უმეტეს, რომ კომბინატი ... ველთვის კარგად რიდი ... საქმე.

— ახლა წარმატებანი გვაქვს და გვიხარია, — ამბობს სერგო, — მაგრამ 1960 წლამდე ჩვენი კომბინატი 800 ათასი მანეთის წაგებით იგეგმებოდა, რენტაბელობის დონე მინუს 15 პროცენტით განიხაზღვრებოდა. ახლა ეს უნდა ასეთი მუშაობა? გადავწყვიტეთ, მალე გამოგვენახა მდგომარეობიდან გამოსავალი. გამოვნახეთ კიდეც! ცხოვრებას ფეხი ავუწყეთ, ახალი ტექნოლოგიის, ახალი სინთეზური მასალების გამოყენებაზე გადავედით. დადად გაგვიმართლა იმედი სინთეზური შპონის გამოყენებამ, უნარჩენო წარმოების მოწყობამ. რამდენი დრო, რამდენი შრომა გვეხარჯებოდა, მაგალითად, წარმოების ნარჩენების გადაყრასა ან დაწვაზე. ახლა კი ამ ნარჩენებისაგან ხაუკეთესო ხარისხის კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო დანიშნულების ხაქონელს ვამზადებთ. მოგებაც ვნახეთ. მომხმარებელიც გავახარეთ.

აი, თუნდაც სამი წლის შედეგებს დავუკვირდეთ: 1980 წელს მოვიგეთ მილიონ 451 ათასი მანეთი, 1981 წელს — მილიონ 742 ათასი მანეთი, შარშან კი — ორი მილიონ 24 ათასი მანეთი!

— ეს ... ბარაკებიდან გამოვიყვანეთ ხალხი და კეთილმოწყობილ, თანამედროვე ბინებში შევასახლეთ. სამი სახლი ავაშენეთ, 140 ბავშვისათვის საკუთარი ბაგა-ბაღი გავხსენით.

ასეთია ჩვენი მოგება! მაგრამ მადლობა, ჩვენი ნაწარმის გამო მომხმარებელი რომ გვეუბნება, ხომ ფულით არ განიზომება!

— კიდევ რა სიახლეა თქვენი ავეჯის წარმოებაში?

— მალე გამოვუშვებთ საბარეულო ავეჯს ახალი მოდელით — „ამარა-80“. ეს მოდელი ჩემი ავტორობით იქმნება, — ცოტა უხერხულად ამბობს სერგო მოსესოვი, — თუ თავის ქებად არ ჩამეთვლება, მინდა იცოდეთ, რომ ამ ავეჯის კომპლექტმა წელს საქართველოს სახალხო მიღწევათა გამოფენაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. წელს გამოვუშვებთ 500 კომპლექტს. ვიმედოვნებთ, მომხმარებელი კვლავაც კმაყოფილი დაგვრჩება...

„ჩვენი კომბინატი“, „ჩვენი კოლექტივი“, „ჩვენი მიღწევები“, „ჩვენი ხარჯები“, ასეთია სერგო მოსესოვის სასაუბრო ლექსიკონი.

კაბინეტიდან რომ გამოვდიოდი, ერთ რამეზე ვფიქრობდი: რა ბედნიერებაა, როცა მთელი კომბინატი იმ განწყობილებით მუშაობს, რომ მათი ნახელავით მომხმარებელი, ადამიანი კმაყოფილი იყოს. და რა კარგია, რომ ასეთ კოლექტივს ხათავეში უდგას ავტორიტეტიანი, ენერგიული, თავისი საქმის მცოდნე, გამჩრჯე კაცი.

ზოთა როყვა.

* * *

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის კ. სანაძის ნახატი.

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა მმ. ბ. ა. ახლანიკაშვილი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. გ. გუმბარიძე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

(საქინფორმი).

კიდევ ერთი პრემიერა

„ტრუბადურის“ დასადგმელად მოიწვია ლენინგრადის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალგაზრდა დამდგმელთა ჯგუფი — დირიჟორი პ. უბელნიკოვი, რეჟისორი ი. პეტროვი, მხატვარი ვ. ფირერი.

სპექტაკლში, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. მკერვალიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ჯ. მდივანი, თ. გურგენიძე, ა. ხომერიკი, ნ. ნადიბაიძე და ნ. გელაშვილი. გუნდმა და ორკესტრმა ბრწყინვალე პროფესიონალიზმი გამოამჟღავნეს, მთ ბევრად განსაზღვრეს დადგმ

პარტიული ცხოვრება: განმახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

მომკითხველობის ნიშნით

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა მოისმინა და განიხილა საკითხი „აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მითითებათა შესაბამისად“. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის, სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებებმა აფხაზეთის მშრომელებს, ახალი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა გამოიწვია. ეს დოკუმენტები რაზმავს მათ 1983 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებაში სათანადო წვლილის გასადებლად.

პლენუმზე აღინიშნა, რომ იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფის, აფხაზეთის სსრ თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა თანამიმდევრული განხორციელების შედეგად ავტონომიური რესპუბლიკა გულდაჯერებულად გავიდა იმ მიჯნებზე, რომლებიც განსაზღვრულია მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრისათვის. მრეწველობაში გაუმჯობესდა ისეთი მაჩვენებლები, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების ზრდა, ფონდეკუნგება. მეტი ყურადღება ეთმობა ნედლეულის, მასალების, ენერგორესურსების ეკონომიის საკითხებს. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა სასურსათო პროგრამის შესასრულებლად.

საოლქო პარტიული ორგანიზაცია, — აღინიშნა პლენუმზე, — თავის ყოველდღიურ მუშაობაში სულ უფრო მტკიცედ ეყრდნობა პროპაგანდისტებს, იდეოლოგიური დარგის წამყვან მუშაკებს, რომელთა რაოდენობა ავტონომიურ რესპუბლიკაში 4.200 კაცზე მეტია. პარტიულმა კომიტეტებმა მთელი თავიანთი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა უშუალოდ შრომითს კოლექტივებში გადაიტანეს, სწორედ იქ, სადაც წყდება სახელმწიფო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების ბედი. ყოველივე ამან, ითქვა პლენუმზე, ხელი შეუწყო ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განაღდებას, ზოლო სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში მიღწეულია გეგმების გადაჭარბებით შესრულება. ეს ეხება, მაგალითად, ეკონომიკის ისეთ წამყვან დარგებს, როგორიც არის მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა. პროდუქციის წარმოება გაზრდეს და მისი ასორტიმენტი გაფართოეს მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა — ქარხანა „სოხუმხელსაწყომ“, გაზის აპარატურის ექსპერიმენტულმა ქარხანამ და სხვებმა.

პლენუმის მუშაობა მიმდინარეობდა ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, კავშირგაბმულობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში არსებული მდგომარეობის მოფიქრებული, ყოველმხრივი ანალიზისა და ადრე მიღებული დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაში არსებული ნაკლოვანებების მკაცრი კრიტიკის ნიშნით.

მაგრამ დადებითის აღნიშვნასთან ერთად საგანგებო სჯა-ბაასი გაიმართა იმაზე, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სადღისო მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს სოხუმის თამბაქოს და საგალანტერეო ფაბრიკების, აგრეთვე სხვა საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

პლენუმმა აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების, სოხუმის რკინიგზის კვანძის, ავიასაწარმოს, საზღვაო ნავსადგურის და კავშირგაბმულობის სამსახურის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვა მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება.

აღინიშნეს რა მიღწეული წარმატებანი სოფლის მეურნეობაში, პლენუმის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ნაკლოვანებებსა და დანაკარგებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის მიცხოველეობასა და საკვებდამზადებაში, თქვეს, რომ იდეოლოგიური მუშაობა სოფლებში განსაკუთრებულ ყურადღებასა და ძალების დაძაბვას მოითხოვს. სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე უნდა იყვნენ იდეოლოგიური დარგის მუშაკები. პარტიული და აღმზრდელობითი მუშაობის უფრო ოპტიმალური მეთოდების მუდმივი ძიება უნდა ხდებოდეს და მხოლოდ ამის შედეგად შეიძლება სოფლის მეურნეობაში სწრაფი ტემპით განვითარდეს საწარმოო ძალები. მაგალითად, 1975-1982 წლებში აფხაზოთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთლიანი პროდუქციის წარმოება თითქმის 55 პროცენტით გაიზარდა. ხოლო წმინდა მოგებამ 18.450 მანეთი შეადგინა. რენტაბელობამ 17 პროცენტს მიაღწია. მეურნეობებში საშუალო თვიური ხელფასი 110 მანეთიდან 166 მანეთამდე გაიზარდა. ეს მაჩვენებლები, — აღინიშნა პლენუმზე, — გაცილებით უფრო მაღალი იქნებოდა, სოფლის პარტიული ორგანიზაციები მეტ მზრუნველობას რომ იჩენდნენ მშრომელთა მაღალი შეგნებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდისათვის.

პლენუმზე ვრცელი და საინტერესო სჯა-ბაასი გაიმართა იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ შემოქმედებითს ორგანიზაციებში, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაკთა შორის.

ყურადღება გამახვილდა ყველგან და ყველაფერში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, ნამდვილი სოციალისტური წესრიგის დამყარების საკითხებზე.

პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა მიღებულ დადგენილებაში ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხ. ი. ვ. ანდროპოვს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მთელ ძალებსა და ენერგიას მოახმარენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, 1983 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო დავალებათა რეალიზაციას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ს. პოტაპოვი.

ი. გოგეჩია.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა. გადაჭარბებით შესრულდა ... შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ კომბინატის მრავალი უბანი და ბრიგადა. განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს რ. ორჯონიკიძის მჭყოველთა ბრიგადა.

* * *

სურათზე: ბრიგადის წევრები ნ. გოცირიძე, ნ. არაბული, თ. კახიანი, რ. ორჯონიკიძე, თ. ღონღაძე და ლ. ბადაგაძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ქარხნის რეზერვია ახალგაზრდობა

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგზავნება რუსთაველ მეტალურგთა პროდუქცია. მრავალი წლის მანძილზე რუსთავის მეტალურგიული ქარხანა მოწინავე იყო დარგში, მას ზედიზედ ოცჯერ და მეტჯერ ეკავა პირველი ადგილი მონათესავე საწარმოთა შორის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაგრამ ბოლო დროს ქარხანა ჩამორჩა, სამმობლოს დააკლდა ათიათასობით ტონა ლითონი. საწარმოში სულ უფრო ნაკლებად მოდიან ადამიანები — მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, თუმცა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები ახლა აქ გაცილებით უკეთესია, ვიდრე იმ წლებში, როცა საფუძველი ეყრებოდა საქართველოს შავ მეტალურგიას. რით ავხსნათ ეს? — ასეთი შეკითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ლ. ინაკაძეს.**

— ქარხნის ჩამორჩენის მიზეზი, როგორც ცნობილია, ბევრია, — თქვა ლევან ისაკაძემ. — ეს არის ქარხნის რეკონსტრუქციაც, იმ ძველ, გამოცდილ მუშაკთა პენსიაზე წასვლაც, რომლებიც თავის დროზე პრაქტიკას გადაოდნენ რუსეთისა და უკრაინის ქარხნებში, ახალი კადრებისადმი მომთხოვნელობის გადიდებაც, რამდენადაც მუშის შრომა სულ უფრო უახლოვდება სირთულით ინჟინრის შრომას. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ აკლია კადრები, წლითიწლობით მცირდება მათი მოსვლა წარმოებაში, მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ისეთ დიდმნიშვნელოვან უბნებს, როგორიც არის რესპუბლიკის ყველაზე დიდი საწარმოს სამუშაო ძალით უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ, შემცირდა აგრეთვე სტუდენტების ნაკადიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე, ხოლო ისინი, ვინც მას ამთავრებს, უხალისოდ მიდიან ქარხანაში.

არ სრულდება აგრეთვე იმ მუშების ორგანიზაციული შეგროვების გეგმა, რომლებიც ასე მწვავედ სჭირდება საწარმოს. მაგალითად, წელს რუსთავის მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხნებში გარდაბნის რაიონიდან უნდა გამოეგზავნათ 18 კაცი, გამოგზავნეს — 13, ახმეტის რაიონიდან 18 კაცის ნაცვლად — 1; სიღნაღის, საგარეჯოს, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონებს უნდა გამოეგზავნათ 9-9 კაცი, რუსთავში კი მხოლოდ ერთი ჩამოვიდა — სიღნაღიდან.

ქარხანაში 500 კაცი უნდა გამოგზავნოს უახლოეს ორ თვეში საქართველოს 23 რაიონმა. მათგან 50 კაცი უნდა ჩამოვიდეს გარდაბნის რაიონიდან, 40 — ახალქალაქისა, 35 — მარნეულის, 30-30 — ბოლნისის, გორის, დმანისის და სხვა რაიონებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი შევსებისათვის რუსთავში შექმნილია საუკეთესო პირობები. ახალგაზრდა კადრებს, უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოფენ საერთო საცხოვრებლით, ოჯახიანებს კი რიგითობის მიხედვით — ბინებით, ქარხანას აქვს დამხმარე მეურნეობა, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. იმათთვის, ვისაც სწავლა სურს, არის ცვლიანი სკოლა, ტექნიკუმი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი. ხელოვნებისა და ლიტერატურის მოყვარულთა შეუძლიათ იარონ სახალხო თეატრში, ხალხურ ხელმარჯვეთა სტუდიაში, ლიტერატურულ გაერთიანებაში. ქარხნის განკარგულებაშია აგრეთვე საკუთარი სტადიონი, სპორტის სახლი, სპორტული ბაზა.

მეტალურგის პროფესია ის აღარ არის, რაც წინათ იყო. თანამედროვე მეტალურგმა უნდა იცოდეს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, თბოტექნიკის, მექანიკის საფუძვლები... მეტალურგიულ ქარხანას სჭირდება მუშები, მაღალკვალიფიციური ოსტატები, ინჟინერ-კონსტრუქტორები, ავტომატიკისა და საკონტროლო-გასაზომი ხელსაწყოების მექანიკოსები.

ქარხანაში ბევრი რამ კეთდება საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის. მაგალითად, პირველად ქვეყანაში და ევროპაში კომპლექსურად იყო ავტომატიზებული დარგში უდიდესი „400“ მილსაგლინავი დგანი, რამაც სახელმწიფოს მილიონობით მანეთი მოგება მოუტანა. ახლა მალმგლინავები პრაქტიკულად არ ეხებიან ლითონს — მართავენ პულტიდან, წარმართავენ რეჟიმებს, თითს აჭერენ ღილაკებს. მრავალი პროცესია ავტომატიზებული კოსკსქმიურ, საბრძმედე, მარტენის საამქროებში, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საწარმო ქარხანა-ავტომატად გადაიქცეს.

ძველი, დრომოჭმული შრომატევადი პროცესები შეცვალა ახალმა პროცესებმა, რომლებიც ცვლიან ადამიანის შრომის ხასიათს, ეს პროცესები მოითხოვს განუწყვეტელ კავშირს გონებრივ საქმიანობასთან. ქარხანაში მუშების განათლებისა და კულტურის ამაღლების დონეს მიიჩნევენ ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად.

ქარხანა ველით თქვენ, სკოლების კურსდამთავრებულებო, ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობო, თქვენ უნდა ამრავლოთ მისი დიდება, განაგრძოთ ქართველი მეტალურგების სახელოვანი ტრადიციები.

ᲥᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ

ფართოდ და საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ახლახან ღირსშესანიშნავი თარიღი — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის 100 წლისთავი და მისი პარტიული ორგანიზაციის 85 წლისთავი.

მიღწეული საწარმოო წარმატებებისათვის და დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით საწარმოს მიენიჭა სამშობლოს მაღალი ჯილდო—ოქტომბრის რევოლუციის ორდენი. ქარხნის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, რუსპუბლიკის საპატიო წოდებებით.

მთავრობის ეს ჯილდები ელექტროვაგონშემკეთებლებს საწარმოში გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა.

იმათ შორის, ვინც დააჯილდოეს შრომის წოვილი დროშის ორდენით, არის ყველა საბჭოთა ხუთწლედის დამკვრელი, წარჩინებული მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე, ხალხთა მეგობრობის ორდენით მოწინავე ოსტატი ს. ბაბაევი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით წამყვანი ელექტროზენკალი ვ. ბეკეუშვილი... ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა დიდ ჯგუფს გადაეცა აგრეთვე მეორე და მესამე ხარისხის შრომის დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

გაიმართა აგრეთვე გადაცემა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებისა, აგრეთვე სიგელებისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“, „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“, „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“, „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ ... „საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ჯილდოების გადაცემისას გამოვიდნენ ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანი კ. გუჯაბიძე, ხარაბი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უფროსი ტ. ჯაბაური. მათ მხურვალე მადლობა გადაიხადეს საპატიო ჯილდოებისათვის, პირობა დადეს, რომ საქართველოს უძველესი საწარმოს კოლექტივი კვლავაც განამტკიცებს მიღწეულ წარმატებებს, ერთგულად განაგრძობს სახელოვან შრომითს ტრადიციებს.

ამხ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა მათ ჯანმრთელობა, წარმატებანი შრომაში, ბედნიერება პირად ცხოვრებაში. (საქინფორმი).

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ: ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲙᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

საქონელბრუნვის დიდი რგოლი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ იმსჯელა ცეკავშირის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სბითუმო-სავაჭრო ბაზაში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობაზე.

ვაჭრობა და საერთოდ მომსახურების სფერო სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მის გამართულ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, პირველ რიგში — ეკონომიკა. აქ საქმე გვაქვს რთულ მექანიზმთან, რომლის მუშაობაში ჩართულია არაერთი საწარმო და სამინისტრო, უწყება და ბაზა, და რა თქმა უნდა, მრავალი სავაჭრო ობიექტი და მომხმარებელი.

საკითხი, რომელიც კომისიის მსჯელობის საგანი გახდა, დროულიც იყო და არსებითიც, გამოითქვა არაერთი კრიტიკული შენიშვნა მომსახურების სფეროს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ბაზების საქმიანობაზე, რომლებზედაც ბევრად არის დამოკიდებული საერთოდ მომსახურებისა და ვაჭრობის გეგმების შესრულება.

ცეკავშირის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სბითუმო-სავაჭრო ბაზა რესპუბლიკაში ერთ-ერთი დიდი უბანია. იგი ემსახურება 7 კოოპერაციულ ორგანიზაციას, კერძოდ — ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, ჩხოროწყუს, მესტიისა და ცხაკაიას რაიონულ კოოპორგანიზაციებს და ფოთის მეთევზეთა კოოპერატივს. ერთი შეხედვით, გეგონებათ თითქოს ყველაფერი რიგზეა — შექმნილია სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი კომისია 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში ედგა ბაზის დირექტორი ვ. ღურწკაია. ჰქონდათ მუშაობის გეგმა, შემოწმებანიც ეწყობოდა, მაგრამ ჩანს აქ ხელი ხელს ბანდა, სქემისათვის კი გული არავის შესტკიოდა. როგორც კომპეტენტურ მაკონტროლებელ ორგანოს შემოწმებამ ცხადყო, ბაზის კომისიის წევრები ვეგორ სულიკაშვილი, ბაბა ბერიძე, ზეინარა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე კულტურას, მათს განმსთავისუფლებელ მოძრაობას.

ცარიზმის რეაქციული რეჟიმის სულშემხუთველ ატმოსფეროში გენიოსმა ჰაბუკმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ქართველ ხალხს მომავალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთადერთი სწორი პოლიტიკური გეზი მიანიშნა. ბარათაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია ეყრდნობოდა ჭეშმარიტ ისტორიზმს, ქართველი ერის ბოლოდროინდელი განვითარების რეალურ ანალიზს. ოცდაათორმეტიანელებისაგან განსხვავებით ბარათაშვილმა მშობელი ერის განთავისუფლების პრობლემა უფრო ფართოდ, მასშტაბურად და განსაცვიფრებელი დიალექტიკური სიღრმით დაიყენა. თავისი დიდი წინაპრის გადაწყვეტილებას ბარათაშვილმა ნათელი, არაორაზროვანი დასტური მისცა, მაგრამ ასევე ნათლად და არაორაზროვნად გამოხატა ის აზრი, რომ არსებულ მდგომარეობასთან შერიგება შეუძლებელია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ დიალექტიკური თვალსაზრისზე დაყრდნობით მისმა იდეურმა მემკვიდრეებმა, ქართველმა სამოციანელებმა, რომლებსაც დიდი ილია მეთაურობდა, ჩამოაყალიბეს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მწყობრი ფორმულა: რუსეთთან ერთად, ვინაიდან სხვა გზას ერი დაღუპავსაკენ მიაყავს, მაგრამ არა ცარისტულ რუსეთთან, თავადაზნაურულ-მემამულურ რუსეთთან, არამედ დემოკრატიულ რუსეთთან ერთად, რომელიც საქართველოს სოციალურ თავისუფლებასა და ეროვნულ სუვერენიტეტს მისცემს, ხოლო ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ იბრძვის, რუსეთის რევოლუციური დემოკრატიაა (ბელინსკი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი). აქ იდეებს სათავეს ილიასა და სხვა თერგდალეულების იდეური კავშირი რუს სამოციანელებთან, ამ დღიდან ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მძლავრი შენაკადი ხდება.

ქართველმა რევოლუციურმა მარქსისტებმა, და მხოლოდ მათ, დაიმკვიდრეს სამოციანელთა ეს პოზიცია ახალ ისტორიულ პირობებში, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი, ბოლოდმდე რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი გამოვიდა. ახლა საკითხი ასე დადგა: რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ; სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება რუსეთში უზრუნველყოფს ყოფილი იმპერიის ხალხების სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებას.

საქართველოს წვრილბურჟუაზიული პარტიების (მათ შორის მენშევიკების) ტრაგედია ის იყო, რომ მათ გადაუხვიეს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მრძოლის ამ მაგისტრალურ ხაზს, უღალატეს ბარათაშვილისა და ილიას ნაანდერძევს; რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პირი იბრუნეს დასავლეთისაკენ, ქვეყანა უცხოელი ინტერვენტების სათარეშოდ აქციეს და უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანეს.

როგორც ვთქვით, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაცხოველებით ემზადებიან ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეები. ემზადებიან თავისებურად, რა თქმა უნდა. აქ გასაკვირი არაფერია. მათ შესანიშნავად ესმით, რომ საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობა ის ობიექტური რეალობაა, რომლის ძალა საკმაოდ კარგად იწვნია მსოფლიო იმპერიალიზმმა. ამიტომ ბურჟუაზიული პროპაგანდის ერთ-ერთი მაგისტრალური ხაზი ის არის, რომ სოციალისტურ ერებს შორის შეღლი ჩამოაგდოს, არარუს ერებს რუსი ხალხისადმი უნდობლობა გაუღვივოს. ეს ძველი, ნაცადი ფანდია.

არ არის ან თითქმის არ არის საქართველოს კომპარტიის, საბჭოთა საქართველოს სახელოვანი ისტორიის არც ერთი მხარე, რომლის ურცხვ და უსინდისო ფალსიფიკაციას არ ეწეოდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგები. მრავალრიცხოვანი საზღვარგარეთული „ხმების“ ანტისაბჭოურ ყეფაში „ჩვენებურთა“ წკავწკავიც გაისმის. ეს ღამურები, ეს ფარეშა ვაი-ქართული სავსებით შეეფერება მათსავე მონაჭორს, განსაკუთრებით „აკაქიოურნენ“ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღნიშვნის წინა პერიოდში. გასაგებია — მათ, ვინც ულაღატა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ტრადიციებს, ვინც ჩადგა მშობელი ხალხის დაჟინებული მტრების სამსახურში, არ მოსწონთ რუსი და ქართველი ხალხების დამბრმილების იუბილე.

ახლა მათ ხელი მოპკიდეს რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიის ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის ფალსიფიკაციას, როგორიც იყო საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. მათი „მტკიცებით“, ეს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთს დაურღვევია და 1921 წლის თებერვალში საქართველოს ოკუპაცია მოუხდენია.

როგორია ისტორიული ჭეშმარიტება?

ვიდრე უშუალოდ გავცემდეთ პასუხს ამ კითხვაზე, გვინდა მოვიყვანოთ ლენინისეული მოკლე, ღრმა და ტევადი განსაზღვრება იმისა, თუ რას წარმოადგენდა ე.წ. „დამოუკიდებელი“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“.

„თქვენ ყველამ კარგად იცით, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოველად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა ვერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკური მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ...“ (თხზ. ტ. 28, გვ. 7-8).

მაგრამ ინტერვენტებთან კავშირმა მენშევიკებს ქვეყანა აუმხდარა. ამასთან ყოველდღე მოდიოდა ცნობები, რომ საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა სულ უფრო მტკიცე ხდებოდა. ამან მენშევიკური მთავრობა თვით მენშევიკთა პარტიაში ჩამოვარდნილი უთანხმოების გამოც იძულებული გახადა მოლაპარაკება დაეწყო საბჭოეთთან. ეს მოლაპარაკება, რომლის დროსაც საბჭოთა მთავრობა ლენინური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის პრინციპებით ხელმძღვანელობდა, 1920 წლის 7 მაისს დამთავრდა მოსკოვში საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით და რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით.

ამრიგად, მენშევიკები იძულებული გახდნენ „ცენტრ“ საბჭოთა რუსეთი, რომელსაც ისინი ნიადაგ ხელს ჰკრავდნენ და რომელთანაც ყოველგვარ ურთიერთობას წყვეტდნენ. ამიერიდან მენშევიკური მთავრობის პრესაში და ლიდერთა გამოსვლებში ჩნდება ფრაზა: „დედამიწაზე ორი ძალაა: ანტანტა და საბჭოთა რუსეთი“. ეს გამოთქმა რომ მოჰყავდა, ვ. ი. ლენინი სვამდა კითხვას: „ვინ არიან მენშევიკები?“ და უპასუხებდა. ეს ფეხის ხმას აყოლილი ხალხია. როდესაც საერთაშორისო თვალსაზრისით ჩვენ სუსტნი ვიყავით, ისინი გაჰყვაროდნენ, „ძირს ბოლშევიკებო“. როდესაც ჩვენ მოლონგირეგი ვიწყეთ, ისინი ამბობენ: „დიახ, აქ ორი ძალაა“.

საზავო ხელშეკრულების დადებამ ძირეული ბოლოღტეხა შეუტანა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოს მშრომელთა ბრძოლასა და პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, რომლებიც უკიდურესად დაასუსტა მენშევიკთა მთავრობისა და ინტერვენტების გაუთავებელმა რეპრესიებმა.

ჯერ ერთი, საზავო ხელშეკრულების დადებამ კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს მშრომელთა ნდობა და პატივისცემა რუსეთის პროლეტარიატისადმი, გაფანტა ის არაჯანსაღი ატმოსფერო, რომელიც „საბჭოთა რუსეთის აგრესიული ზრახვების“ შესახებ იქმნებოდა მენშევიკთა ხანგრძლივი ჭორაობისა და დემაგოგიის შედეგად.

მეორე, — რაც უფრო მნიშვნელოვანია, — საზავო ხელშეკრულების დადებამ მენშევიკთა მთავრობა აიძულა ერთხანს ხელი აეღო საბჭოთა რუსეთის მიმართ აშკარად მტრულ პოლიტიკაზე და დასდგომოდა „ლოდინის პოლიტიკის“ გზას, რასაც, უეჭველია, გარკვეულწილად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობისათვის.

მესამე, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულების დადებამ მნიშვნელოვნად გამოუთხარა ძირი ანტანტის ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლისის, პოზიციებს საქართველოში. მენშევიკთა მთავრობა, რომელიც თითქმის ორი წლის მანძილზე მონურად ქედს იხრიდა ინგლისის წინაშე, საზავო ხელშეკრულების გავლენით და მასების ზემოქმედების გამო იძულებული იყო „გაეწყვიტა მეგობრული კავშირი ინგლისის სამხედრო ხელისუფლებთან“.

მენშევიკთა მთავრობის მიერ იძულებით აღებულმა ინგლისის სამხედრო ხელისუფლებთან კავშირის გაწყვეტის კურსმა მშრომელი მასების ფართო მხარდაჭერა პოვა. რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ქართველ ბოლშევიკებს მიუთითა, მენშევიკთა მთავრობის მხარი დაუჭირეთ ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. ამავე დროს საბჭოთა რუსეთის მთავრობას ისევ გამოძახა საქართველოს ოკუპანტებთან.

მეოთხე, საზავო ხელშეკრულების დადებას ძირეული გარდატეხა მოჰყვა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, რომლებსაც, ხელშეკრულების ცალკე დამატების ძალით, უფლება მიენიჭათ „თავისუფლად ეარსებათ და ემოქმედათ, კერძოდ, მოეწვიათ კრებები და ჰქონოდათ ბეჭდვითი სიტყვა“. გაჩნდა შესაძლებლობა აღედგინათ თავიანთი ძალები და გაეჩინეთ ნათ მუშაობა მასებში. საკმარისია ითქვას, რომ ხელშეკრულების დადების პირველ დღეებშივე „დემოკრატიული საქართველოს“ საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს დაახლოებით 900 კომუნისტი.

საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქ

2 აგვისტო

ყოველთვიური

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის

ბუნების მეგობრებისა და დამცველების II რესპუბლიკური შეკრება

ბუნების დაცვა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა, რომელსაც წყაწყდნენ ადამიანები, განსაკუთრებით ბოლო წლებში. ბიოსფეროს დასაცავად არ კმარა მხოლოდ მეცნიერებისა და ინჟინრების მეცადინეობა. საჭიროა ბუნების დაცვის იდეების ფართო პროპაგანდა, მისი რესურსების რაციონალური გამოყენება. ეს აზრი გასდევდა წითელ ზოლად ბუნების მეგობრებისა და დამცველების II რესპუბლიკურ შეკრებას, რომელიც გაიმართა 2 აგვისტოს თბილისის ჰადრაკის სასახლეში და მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ყველა რესპუბლიკური ბუნების დამცველი ორგანოს წარმომადგენლები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, სამეცნიერო-ტექნიკური, შემოქმედებითი ინტელიგენციის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლები, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

ამ შეკრებით დამთავრდა საქართველოს ბუნების დაცვის ერთთვიური, რომელიც უკვე მეოთხეჯერ იმართება. ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკის ბუნების დაცვის ნებაყოფლობითს საზოგადოებას, რომელიც დაახლოებით მილიონ 800 ათას კაცს ითვლის, ახალი ენთუზიასტები შეემატა.

...თბილისის ჰადრაკის სასახლის სცენაზეა ვეებერთელა ტრანსპარანტები, რომლებზეც ქართულ და რუსულ ენებზე წარწერილია დიდი ჰუმანისტი მწერლის მ. გორკის სიტყვები: „არა არის რა უფრო უნივერსალური უნივერსიტეტი, ვიდრე ბუნება“.

საზეიმოდ აყალრდა „ბუნების ჰიმნი“, რომელიც შექმნეს კომპოზიტორმა შ. მილორავამ და პოეტმა მ. ფოცხიშვილმა.

მოხსენება „ბუნების სიყვარულით, სამუდამოდ ერთად“ გააკეთა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. კაჭარავამ.

დამსწრეთ დიდი ინტერესით მოუსმინეს სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს ი. პეტრიანოვ-სოკოლოვს, სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის მრჩველს ვ. სმირნოვს, სოხუმის სახელმწიფო-ბოტანიკური ბაღის დირექტორს გ. აიბას, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის ჰინისტრს შ. ქალაგანიძეს, მაგადანის ოლქიდან ჩამოსულ აგრონომს კ. გუტიძეს და სხვებს. მათ წამოაყენეს ბუნების დაცვის აქტუალური პრობლემები.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მელიორაციის და წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგე გ. მამაცაშვილი.

* * *

იმავე დღეს შეკრების მონაწილეები ეწვივნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, სადაც გაიხსნა გამოფენა „ბუნება და ფანტაზია“, რომელზეც წარმოდგენილია რესპუბლიკის თვითმოქმედი მხატვრების ნაბუშევრები. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელები გადაეცათ ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების აქტივისტებს. (საქინფორმი).

შეხვედრა მილიციის ახალგაზრდა ოფიცრებთან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

რესპუბლიკის ცხოვრებაში პირველად სპეციალიზებულმა უმაღლესმა სასწავლებელმა მოამზადა უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორები. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის პირველი გამოშვება საზეიმოდ აღინიშნა. 30 ივლისს ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა.

ამხანაგმა გილაშვილმა გულთბილად მიულოცა ახალგაზრდა ოფიცრებს სწავლის დამთავრება და ხაზი გაუსვა, რომ წლეულდელი გამოშვება დიდი მოვლენაა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ყველა ორგანოსათვის. ამ ფაკულტეტის შექმნა კიდევ ერთხელ ცხადყოფს კომუნისტური პარტიის, რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვას იმათთვის, ვინც უკომპრომისო ბრძოლას ეწევა სოციალისტური მორალის ნორმებისაგან გადახრის წინააღმდეგ, ესწრაფვის პარტიის საკადრო პოლიტიკის განხორციელებას. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება შეუძლებელია, თუ არ სრულყოფ ოსტატობას, მორალურ თვისებებს, ნებისყოფას, გაიფართოებ მსოფლმხედველობას.

პ. გილაშვილმა ფაკულტეტის პირველ კურსდამთავრებულებს უსურვა ღირსეულად ატარონ საბჭოთა მილიციის მუშაკის საპატიო წოდება.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსმა გ. სოლორაშვილმა, რომელმაც ილაპარაკა უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიური კოლეტივის მუშაობის, სამომავლო ამოცანების შესახებ.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა დ. იოსებაშვილმა, ს. ბაბაიანმა, გ. არახამიამ თავიანთი ამხანაგების სახელით პირობა დადეს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, გამოიყენებენ მთელ შეძენილ ცოდნას, რათა გაამართლონ ნდობა.

შეხვედრის დასასრულს პ. გილაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა კურსდამთავრებულებს, რომ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში მათ მარჯვედ უნდა გამოიყენონ კანონები და ნორმატიული აქტები და სამახსოვროდ გადასცა მათ საქართველოს სსრ კონსტიტუციის ეგზემპლარები.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. საჯაია, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსი, მილიციის გენერალ-მაიორი ი. სოლოპანოვი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი გ. სერიოდკინი.

(საქინფორმი).

● იაპონია

პრემიერი კონსტიტუციის წინააღმდეგ

ტოკიო. *კიდევ ერთხელ გაიღაშვრა ქვეყნის კონსტიტუციის წინააღმდეგ იაპონის პრემიერ-მინისტრმა ი. ნაკასონემ.* ამჯერად იაპონის მთავრობის მეთაურმა, რომელიც ცნობილია იმით, რომ აშკარად მოითხოვა ქვეყნის ძირითადი კანონიდან ამოიღონ ომის საწინააღმდეგო დებულებები, მითითება მისცა კაბინეტის კანცელარიასთან არსებულ იურიდიულ ბიუროს გადასინჯოს მილიტარისტული იდეების პროპაგანდის მიზნით თავისრობის მიერ რელიგიის გამოყენების ამკრძალავი მუხლი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება „იასუკუნის“ სტატუსის გადასინჯვას, რომელიც ომისწინა და ომისშემდგომი წლების იაპონიაში ცნობილია, როგორც აშკარა შოვინისტური და მილიტარისტული პროპაგანდის ცენტრი. როგორც გაზეთი „მაინიტი დეილი ნიუსი“ იუწყება, პრემიერ-მინისტრმა იურიდიულ ბიუროს მოსთხოვა „ახალი ინტერპრეტაცია მისცეს კონსტიტუციის“ საკითხში, რომელიც „იასუკუნის“ ეხება.

იაპონიის მილიტარიზმის გაანადგურების შემდეგ 1945 წელს მიღებული ახალი კონსტიტუციით ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს და „იასუკუნი“ დავიწყებას მიეცა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1975 წლიდან დაწყებული აქ მოდიოდნენ თავდაპირველად „ეკრძო პირები“, შემდეგ კი, ქვეყანაში მილიტარისტული ტენდენციების გაძლიერების კვალობაზე, უკვე ოფიციალური პოლიტიკური მოღვაწეები — იაპონიის მთავრობების მეთაურები, მინისტრები, პარლამენტის დეპუტატები მმართველი ლიბერალ-დემოკრატიული პარტიისაგან.

● შრი ლანკა

მღელვარება გრძელდება

დელი. *აქ ცნობილი გახდა, რომ შრი ლანკის პრეზიდენტის ჯ. რ. ჯაიავარდენის ბრძანებულებით აიკრძალა შრი ლანკის კომუნისტური პარტიისა და მთელი რიგი სხვა ოპოზიციური პარტიების საქმიანობა. მათი საქმიანობა აიკრძალა საგანგებო წესების კანონის საფუძველზე.*

კოლომბო. შრი ლანკაში გრძელდება მღელვარება რელიგიურ-თემობრივ ნიადაგზე. როგორც პრესა იუწყება, სინგალამებსა და ტამილებს შორის შეტაკებათა შედეგად მოკლეს დაახლოებით 200 კაცი და 50 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა. როგორც შრი ლანკის მიწებისა და მელიორაციის მინისტრმა გ. დისანაიაკემ განაცხადა, მღელვარებათა შედეგად დაიწვა ბევრი საწარმო და 150 ათასზე მეტმა კაცმა სამუშაო დაკარგა.

ამერიკის ნამდვილი სახე

არჩევნებისწინა ფარისევლობა

ვაშინგტონი. *პრეზიდენტი რეიგანი გმოვიდა ქალაქ ატლანტაში (ჯორჯიის შტატი) ამერიკის იურისტთა ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელშიც შეეცადა გაემართლებინა თეთრი სახლის პოლიტიკა მოქალაქეობრივ უფლებათა სფეროში.* იგი, კერძოდ ამტკიცებდა, თითქოს მისი ადმინისტრაცია „ქალთა, ნაგბთა და ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაციის აღმოფხვრის საქმის ერთგული“ ყოფილიყოს.

პრეზიდენტი ამ თემას შემოხვევით არ შეხებია, ამერიკული პრესის ცნობით, თეთრ სახლში მეტად შეშფოთებულნი არიან იმით, რომ მოქალაქეობრივ უფლებათა სფეროში ადმინისტრაციის ნამდვილად სამარცხვინო „ნამსახურობის ნუსხას“ შეიძლება მმართველი რესპუბლიკური პარტიათა არასასურველი შედეგი მოჰყვეს არაოფიციალურად უკვე დაწყებული საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში.

მაგრამ პრეზიდენტმა ბევრი ვერაფერი თქვა თავისი რეაქციული შიდაპოლიტიკური კურსის გასამართლებლად. მან დუმილით უარყო გვერდი იმ ფაქტს, რომ, ოფიციალური მონაცემებითაც კი, ბოლო ორ წელიწადში მკვეთრად გაძლიერდა სამუშაოზე მიღებისა და განთავლების მიღების დროს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების დისკრიმინაცია. ამის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა უმუშევრობა, რომელმაც ქვეყნის შორეულ რაიონებში ზანგი ახალგაზრდობის 50 პროცენტზე მეტი მოიცვა. მთლიანად კი „ხედმეტ ადამიანთა“ პროცენტი შავკანიან ამერიკელთა შორის ორჯერ აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს თეთრკანიანთა შორის.

თავის გამოსვლაში თეთრი სახლის მეთაური ფარისევლურად შეეცადა გაემართლებინა საზოგადოებრიობის თვალში გადაწყვეტილება მოქალაქეობრივ უფლებათა კომისიის — ანტიდისკრიმინაციული კანონების განხორციელების მეთვალყურე უწყების წევრების შეცვლის შესახებ. ამ კომისიის ყველა ამ წევრის ნაცვლად, ვინც ბედადა და არ ეთანხმებოდა ადმინისტრაციის პოლიტიკას, რეიგანმა დანიშნა პირწყვარდნილი რეაქციონერები, რომელთა შეხედულებანი ამ საკითხში თეთრი სახლის ოფიციალურ თვალსაზრისს ემთხვევა.

პრეზიდენტი კაში ძვრებოდა აგრეთვე, რომ გაემართლებინა თავისი პოლიტიკა ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხში. როგორც ცნობილია, სწორედ ამერიკელ ქალთა შორის შეილახა ყველაზე ძლიერ ბოლო ორ წელიწადში პრეზიდენტის პრესტიჟი. როგორც თანასწორი უფლებებისათვის მოძრაობის აქტივისტები აღნიშნავენ, რეიგანის ვერავითარი განცხადება ვერ მიჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ამჟამად შეერთებულ შტატებში ქალები ერთი და იგივე სამუშაოსათვის მხოლოდ იმის 59 პროცენტს იღებენ, რასაც მამაკაცები, რომ 100 სენატორიდან მხოლოდ ორი ქალია, რომ თვითონ პრეზიდენტი ილაშქრებს ამერიკის კონსტიტუციის იმ შესწორების წინააღმდეგ, რომელიც ქალთა თანასწორუფლებიანობას აცხადებს. რეიგანის გამოსვლას რომ განმარტავდა, ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა უ. გრეიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თეთრი სახლის მათურის ყბედობა ყველა ამერიკელის „თანაბარ შესაძლებლობებზე“ ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა მიმართ ადმინისტრაციის უსამართლო და მკაცრი პოლიტიკის მხოლოდ სიტყვიერი ნიღაბია.

მკაცრი რეპრესიები

ნიუ-იორკი. *მკაცრ რეპრესიებს ახორციელებენ ამერიკის ხელისუფალნი ქალთა მშვიდობიანი მანიფესტაციის წინააღმდეგ, რომელიც გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზის შესასვლელთან ქალაქ რომიულსში (ნიუ-იორკის შტატი).*

როგორც ცნობილია, ახლახან იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ წლის დამლევისათვის დასავლეთ ევროპაში განთავსებულია „პერშინგ-2“ ტიპის უახლესი ამერიკული ბირთვული რაკეტებისა და ფრთოსანი რაკეტების განლაგება, აქ შეიქმნა „მშვიდობის ბანაკი“. ამ გამოსვლას ფართოდ უჭერს მხარს ამერიკის საზოგადოებრიობა.

ქრესა ადასტურებს

ხალხის ნების მიუხედავად

ჯორჯთაუნი. *სამმილიონიანი პუერტორიკოელი ბალხის ნების მიუხედავად, რომელსაც 80 წელზე მეტი ხნის წინათ თავს მოახვიეს შეერთებულ შტატებთან „თავისუფლად შეერთებული“ სახელმწიფოს კოლონიური სტატუსი, თეთრი სახლი არათუ ფიქრობს დამოუკიდებლობა მიანიჭოს კარიბის ზღვის ამ კუნძულოვან ქვეყანას, არამედ ზრდის იქ თავის სამხედრო ყოფნას, წერს გაზეთი „კარიბიან კონტაქტი“.*

ცენტრალურ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევის გაფართოებასთან ერთად, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, პუერტო-რიკოს სტრატეგიული მნიშვნელობა ვაშინგტონისათვის გაიზარდა. ამას მოწმობს რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული გეგმები ამ ქვეყნის შეიდგმი მილიტარიზაციის შესახებ. ისინი შეიცავენ ღონისძიებათა მთელ სერიას. მათ შორისაა პანამიდან იქ ყბადაღებული სკოლის „ამერიკასის“ — ლათინური ამერიკის ქვეყნების პროამერიკულად განწყობილ ოფიცერთა კადრების მოსამზადებელი ცენტრის გადატანის გეგმები, პუერტო-რიკოს დასავლეთ სანაპიროზე განლაგებული აგუადილის სამხედრო-საპაერო ბაზის საქმიანობის გამოცოცხლება, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების კავშირგაბმულობის დიდი მიწისქვეშა კვანძის განკოსერვება.

პენტაგონის სამზადისში, აღნიშნავს „კარიბიან კონტაქტი“, განსაკუთრებული ადგილი უკავია პუერტორიკოელი ახალგაზრდობის სავალდებულო სამხედრო მომზადების შემოღების პროექტს.

პენტაგონმა აგრეთვე ნათლად აგრძნობინა, რომ პუერტო-რიკოს ეროვნული გვარდია მას მიაჩნია ინტერვენციონისტულ კორპუსად, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება გამოიყენონ ლათინურ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევისათვის.

ყოველივე ეს, ადასტურებს გაზეთი, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ამერიკელმა სტრატეგებმა, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ პუერტორიკოელთა თვითგამორკვევის კანონიერ უფლებას, გადაწყვიტეს საბოლოოდ ეს კუნძული გადააქციონ ლათინური ამერიკის ხალხთა წინააღმდეგ თავისი სამხედრო ოპერაციების პლაცდარმად.

ახლო აღმოსავლეთი

ვაშინგტონის ემისრის ვოიაჟი

ბეირუთი. *ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი რ. მაკფარლეინი ჩამოვიდა ლიბანის დედაქალაქში.* ამ პოსტზე დანიშვნის შემდეგ რეგიონში თავისი პირველი მოგზაურობის დროს იგი ეწვევა ისრაელს, ეგვიპტეს, საუდის არაბეთს, იორდანიასა და სირიას.

გამგზავრების წინ რ. მაკფარლეინი მიიღო პრეზიდენტმა რ. რეიგანმა, რომელმაც, როგორც პრესა იუწყება, სამოლოო ინსტრუქციები მისცა მის მისიასთან დაკავშირებით. გაზეთი „უოლსტრიტ ჯორნელი“ გამოთქვამს აზრს, რომ მას პორტფელში არა აქვს საანლოაღმოსავლეთო პრობლემის თაობაზე რაიმე ახალი წინადადებანი, და მხოლოდ დასახული აქვს ამოცანა შეანელოს ამერიკის ადმინისტრაციის აშკარა ანტიარაბული კურსის კრიტიკა.

ზოგიერთი მიმმხილველი ამ მისიას „ბრაიტ სტარის“ იმ ფართო მასშტაბის სამხედრო მანევრების დიპლომატიურ მხარდაჭერად მიიჩნევს, რომელიც მალე დაიწყება ახლო აღმოსავლეთში.

ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის მოგზაურობას წინ უძღოდა ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკება ისრაელის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებთან შამირთან და არენსთან. მოლაპარაკების დროს შეეხნენ ამერიკა-ისრაელის მეცადინეობის კოორდინაციას ახლო აღმოსავლეთში ლიბანის გათიშვის ერთობლივი გეგმის რეალიზაციისა და პრეზიდენტ რეიგანის ეგრეთ წოდებული ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების იმ გეგმის განხორციელების მიზნით, რომელიც გადაჭრით უარყეს არაბმა ხალხებმა.

ფოტოფაქტი

კანადელთა პროტესტი

კანადაში *გაიმართა მრავალათასიანი მანიფესტაციები. მათმა მონაწილეებმა, აღშფოთებულებმა იმით, რომ ოტავა დაეთანხმა ქვეყანაში ამერიკული ფრთოსანი რაკეტების გამოცდას, გულისწყრომით დაგმეს კანადის მთავრობის თანამონაწილეობა ვაშინგტონის მიერ გაჩაღებულ უგუნურ გამალებულ ბირთვულ შეიარაღებაში. მოითხოვეს ამ სახიფათო გადაწყვეტილების გადასინჯვა.*

სურათზე: *ტორონტოში გამართული მანიფესტაციის დროს. მონაწილენი ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს შენობასთან წვავენ ამერიკული ფრთოსანი რაკეტის მაკეტს.*

იუპი-საკლესიის ფოტო.

● 3 აგვისტო, 1983 წ. ●

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პრაღა.** *ახალმა პროფკავშირულმა დახასიათებელმა სახლმა, რომელიც აგებულია ქ. პრაჰატიცეს მახლობლად შუმავის თვალწარმტაცი ტყეებში, კარი გაუღო პირველ დამსვენებლებს, აქ დაიხვენებენ სამხრეთ ჩეხიის ოლქების სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი მუშები.*

● **ჰელსინკი.** *სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ნავავრო და ეკონომიკური ურთიერთობის წარმატებით განვითარება, რომელსაც პოლიტიკური საფუძვლად უდევს ნაბეჭთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, აღნიშნა გაზეთ „ანსნან უუტისეტი“-სთვის“ მიცემულ ინტერვიუში ფინეთ-საბჭოთა კავშირის ნავავრო პალატის გენერალურმა მდივანმ, ი. ამომრიკამ. საბჭოთა კავშირის საწარმოო შესაძლებლობები იმდენად მრავალფეროვანია, აღნიშნა მან, რომ არსებობს განუსაზღვრელი პერსპექტივები ამ ორ ქვეყანას შორის ნავავრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის.*

● **ამანი.** *ისრაელის ხელისუფალნი განაგრძობენ მდინარე იორდანის დაყოფილი დასავლეთ ნაპირის არაბი მოსახლეობის დემონსტრაციების მონაწილეთა სასამართლო დევნას. აქ მოსული ცნობებით, ოკუპანტების სამხედრო ტრიბუნალმა 70-ზე მეტ კაცს მიუსაჯა პატიმრობა და დიდი ფულადი ჯარიმები სიონისტ ოკუპანტთა თარეშის წინააღმდეგ გამოსვლებისათვის. სიონისტებმა ახლახან ელ-ბალილში მოკლეს სამი არაბი მოსწავლე.*

● **ჯორჯთაუნი.** *შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა გამოეყო გაიანისათვის დაპირებული კრედიტი სოფლის მეურნეობის განვითარების საჭიროებისათვის. ვაშინგტონის ზეგავლენით მსგავსი დისკრიმინაციული ღონისძიებები განახორციელა აგრეთვე ამერიკის სახელმწიფოთა განვითარების ბანკმა, რომლის მოღვაწეობასაც აკონტროლებენ მასში შემავალი ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო დაწესებულებები.*

როგორც გაიანის გაზეთი „სანდე ქრონიკლი“ წერს, ქვეყნის მიმართ მტრული აქციები ნაკარნახევია განსაკუთრებული პოლიტიკური მოტივებით. ამერიკის იმპერიალიზმს არ სურს სცნოს გაიანის უფლებები, დაადგეს მის მიერ არჩეული განვითარების გზას.

● **ტოკიო.** *იაპონიის დიდი ბიზნესი ყოველნაირად ცდილობს მოსპოს თავისი საქმიანობის უმცირესი შეზღუდვებიც კი. იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა წამყვანმა ორგანიზაციამ — ეკონომიკურ ორგანიზაციათა ფედერაციამ მოსთხოვა მთავრობას ფაქტობრივად უარყოს ანტამონოპოლისტური კანონმდებლობა, რომელიც იაპონიაში შემოღებულია ჯერ კიდევ პირველ ომის შემდგომ წლებში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტბიურო საჭიროდ მიიჩნევდა, რომ საქართველოსთან დადებული სახვო ხელშეკრულების თანახმად საქართველოს ტერიტორიას უნდა გასცლოდნენ ინგლისისა და უცხოეთის სხვა ჯარები, საქართველოში არ უნდა დაშვებათ თეთრგვარდიელთა რაზმების შექმნა, უნდა უზრუნველეყოთ რუსეთისათვის დენიკინელთა ბანდების ნაშთებისა და მათი შეიარაღების გადაცემა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დადგენილების იმ დებულებას, რომელიც საქართველოს და სომხეთის პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა უთუოდ შეეკავებინათ თავი საქართველოს და სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების გამოწვევის ცდებისაგან. „უნდა განვუმარტოთ, — ნათქვამი იყო დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, — ელემენტებს, რომლებიც გადატრიალებას ეწრაფვიან, იმოქმედონ ხელშეკრულების ფარგლებში“.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ მითითებას განუხრელად ასრულებდნენ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საქართველოში რამდენიმე თვის მანძილზე არ ყოფილა შეიარაღებული აჯანყება, მაშინ როცა, როგორც ცნობილია, მენშევიკების ბატონობის პერიოდი, განსაკუთრებით 1918 და 1919 წლები, აღსავსე იყო საქართველოს მშრომელების მასობრივი აჯანყებებით მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. მათ წარმატება არ მოჰყოლია იმის გამო, რომ უცხოელი ინტერვენტები აქტიურ დახმარებას უწევდნენ მენშევიკებს ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მთავრობა განუხრელად ასრულებდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ყველა პოთხოვნას.

პირადად ვ. ი. ლენინმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ არ დაეშვა რაიმე კონფლიქტი და ურთიერთობის გამწვავება საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის.

მაგრამ საქმე ის იყო, რომ მენშევიკურმა მთავრობამ მალე აიღო ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებზე. იგი ფორმალურად ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ საქმით განუწყვეტლივ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უტიფრად არღვევდა მას. საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობა იარაღით, სამხედრო საჭურვლით, ქვანახშირით და ნავთობით ამარაგებდა გენერალ ვრანგელს, რომელიც დენიკინის განადგურებული ჯარების ნაშთებით ყირიმს შეეხიზნა. თბილისში თავს უყრიდნენ თეთრგვარდიელ ოფიცრებს და ბათუმისა და ფოთის გზით გზავნიდნენ ვრანგელის არმიაში. ბათუმში ინგლის-საფრანგეთის ესკადრა ემზადებოდა შავი ზღვის სანაპიროებზე თავდასხმისათვის.

ყველაფერი ეს იმას ნიშნავდა, რომ მენშევიკური მთავრობა ვერაგულად არღვევდა სამშვიდობო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ცბიერობდა და ატყუებდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას.

მენშევიკებმა მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთს წამდაუწუმ კეთილმეზობლურ ურთიერთობას ეფიცებოდნენ, მალე ყოველ გვარ საზღვარს გადაეკარნენ ქვეყნის შინაგან ანტისაბჭოური კამპანიის გაჩაღებაშიც. მათ მალე უხეშად დაარღვიეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება საქართველოს კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის საკითხშიც: კვლავ აამოქმედეს ძალადატანების მთელი თავიანთი აპარატი საქართველოს კომპარტიის ახლად შექმნილი პარტიული ბიუროებისა და კომიტეტების წინააღმდეგ, ცენტრალური კომიტეტის და მისი ბეჭდვითი ორგანოების წინააღმდეგ. დაიწყო კომუნისტთა მასობრივი დაპატიმრებანი. მთავრობის პოლიციურ ორგანოებს ცალკეული კომუნისტების დაკითხვის ოქმში შეპარულთა ტრაფარეტული ყალბი ბრალდებანი: „შემჩნეულია შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში“, „აგიტაციას ეწევა ჯარის ნაწილებში“, და ა. შ.

1921 წლის 20 იანვარს რუსეთის სფსრ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ვ. ჩიჩერინმა ვ. ი. ლენინს მისწერა ვერცელი წერილი საქართველოში შექმნილი დგომარეობის შესახებ. წერილში გ. ვ. ჩიჩერინი დაწვრილებით იუწყებოდა, თუ რა ვერაგულად არღვევდა მენშეკიკური მთავრობა 1920 წლის მაისში დადებული საზავო ხელშეკრულების პირობებს. მენშევიკურმა საქართველომ, აღნიშნულია წერილში, უარი თქვა მთლიანად შეესრულებინა ხელშეკრულებაზე დაფუძნებული შეთანხმება მის ნავსადგურებში შესული გემების დაბრუნების შესახებ, პატიმრებდა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის თანამშრომელთ, აწყობდა მასობრივ რეპრესიებს კომუნისტების წინააღმდეგ და უარს ამბობდა შეესრულებინა სახელშეკრულებო ვალდებულებანი ამ საკითხზე. მენშევიკური მთავრობის განკარგულებით ბათუმში მეზღვაურთა კვრის შენობიდან ჩამოხსნეს საბჭოთა მთავრობის დროშა, გაძარცვეს საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა ბაკურიანში, ესროლეს ოფიციალურ საქართველოს ელჩს ალექსანდრ ოფენბერგს, ... ეროვნული ... ...

ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე

ქართველი დესპანი ესპანეთში XVII საუკუნის პირველი მესამედის დამლევს

3. ორმუზის რეგიონი ქართულ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ინტერესებში

ამ დამფიქრებელი გარემოების ასახსნელად ვიდრე სავარაუდო მოსაზრებებს მივმართავდეთ, გამმართლებელად გვიჩვენება, უპირველეს ყოვლისა, ორმუზის პრობლემის ისტორიულ წარსულს შევეხოთ, კერძოდ, შევეცადოთ თუნდაც ზედმოწვნით ზოგადად აღვადგინოთ ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც სპარსეთის ყურის ამ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სტრატეგიულ რეგიონში არსებობდა მე-17 საუკუნის პირველი მესამედის დამლევისათვის. თანამედროვე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი, რომ ჩინეთთან და ინდოეთთან დასავლეთ ევროპის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობის განხორციელებაში ორმუზის რეგიონს, რომელიც იმ დროისათვის ყველაზე მოსახერხებელი საქარავანო გზის გზაჯვარედინზე მდებარეობდა და ამ სახელწოდების შედარებით მცირე კუნძულს, სრუტისა და ქალაქს აერთიანებდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

შემოხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ ამ თვალწარმტაცა და მრავალმხრივ ხელსაყრელ კუთხეს მცირე აზიისას, რომელიც მთელი ახლო აღმოსავლეთის სოვდაგართა ერთგვარ ნავსაყუდელს წარმოადგენდა, ევროპელთაგან პირველად პორტუგალიელებმა, კოლონიურ მიტაცებათა ამ პიონერებმა, მიაქციეს ყურადღება. მათივ ეკუთვნით ცნობილი გამოთქმა: „მსოფლიო ოქრის ბეჭედად რომ წარმოვიდგინოთ, ორმუზი მისი ბალახნი იქნებაო“, რომელიც, ვფიქრობთ, ამ რეგიონის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებთან უფრო იყო შთაგონებული, ვიდრე მისი ბუნებრივი მონაცემებისადმი თაყვანისცემით, ასეა თუ ისე, პორტუგალიელთა ამ რეგიონში დამკვიდრებისა და ასწლიანი კოლონიური ბატონობის სათავედ 1507 წლის ოქტომბერი ითვლება, როდესაც ცნობილი კონკისტადორის აფონსუ და ალბუკერკის მოთავეობით ორმუზი დაპყრობილ იქნა, ხოლო მის მოსახლეობას მძიმე კონტრიბუცია დაეკისრა.

ამ დროიდან მოყოლებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ორმუზისათვის არ შენელებულა, ერთის მხრივ, წარსულში უძლიერეს, მაგრამ უკვე დაქვეითების გზაზე მდგომ პორტუგალიასა, ხოლო მეორეს მხრივ, თურქეთთან გაუთავებელი ომებითა და შინაარეულობით საკმაოდ დასუსტებულ სპარსეთს შორის, რომელსაც ამ ბრძოლაში ხშირად აგულაანებდნენ პორტუგალიისა და ესპანეთის მოქიშპე ევროპის სხვა კოლონიური სახელმწიფოები, კერძოდ, ინგლისი და პოლანდია. ამ პერმანენტული სამხედრო კონფლიქტის ისტორიაში საეტაპო მოვლენად 1580 წელს პორტუგალიის ესპანეთთან შეერთება და 1587 წელს შაჰ თაამასპის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის ტახტზე სეფიანთა შთამომავლის, ხორასნის ახალგაზრდა ნაცვლის აბასის აღზევება უნდა მივიჩნიოთ.

პირველმა მოვლენამ ხელი შეუწყო ესპანეთის მონარქიის გიგანტურ კოლონიურ იმპერიად გადაქცევას, თუმცა ამას შედეგად არ მოჰყოლია აგრეთვე ორი (უკვე გაერთიანებული) სახელმწიფოს მწარმოებელ ძალთა შესამჩნევი აღორძინება. მიზეზი ამისა კი ის იყო, რომ მე-16 საუკუნის ბოლოსათვის თვით ესპანეთი, მიუხედავად მისი სიძლიერისა, უკვე დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი, რაც, ნაწილობრივ, ორმუზისათვის მომდევნო შებრძოლებთა ეპოპეამაც დაადასტურა.

მეორე მოვლენის განხორციელებას — აბას პირველის სპარსეთის შაჰად აღიარებას, როგორც ცნობილია, მასთან დაახლოებულ პირთაგან განსაკუთრებული ღვაწლი გამაჰმადიანებულმა ქართველმა, შემდგომ მისმა სიძემ (დის ქმარმა) ალავერდი ხანად წოდებულმა გიორგი უნდილაძემ დასდო, რისთვისაც შაჰმა იგი სპარსეთის დიდი პროვინციის — ფარსის მმართველად (გუბერნატორად) დანიშნა. ალავერდი ხანს იმთავითვე დაევალა ორმუზის რეგიონისადმი მეთვალყურეობა და აქ განლაგებულ პორტუგალიელთა გარნიზონების საწინააღმდეგოდ გამიზნული სპარსეთის ჯარის ნაწილებისა და სამხედრო ოპერაციების მთავარსარდლობა. შაჰ აბასის ამ საგანგებო დავალებას ალავერდი ხანი საკმაოდ მარჯვედ ართმევდა თავს, რასაც ხელს უწყობდა ორმუზის მკვიდრი მოსახლეობის პორტუგალიელთა მიმართ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება. სპარსეთის ჯარმა ალავერდი ხანის მოთავეობით არაერთი დამარცხება აგემა პორტუგალიელებს ამ რეგიონში. შაჰ აბას პირველის მმართველობის წლებში სპარსეთი საგრძნობლად მომძლავრდა და არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მთლიანობა აღიდგინა, არამედ მთელ რიგ რეგიონებში ადრე იძულებით დათმობილი პოზიციებიც. 1612 წელს სტამბოლში დადებული ზავის შედეგად სპარსეთს, მცირე შესვენების შემდეგ, შესაძლებლობა მიეცა შინაგაარეულ საქმეებს მოსაწესრიგებლად, რომელთა შორის შაჰმა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოთა „დასჯა“ გადაუდებელ ამოცანად დაიჩნია. ქართლსა და კახეთში დაფრილებულ ტრაგედიასთან ერთად აბასმა ორმუზსაც ძლიერად შეუტია, სიაღანაც პორტუგალიელთა გაძევებას ინგლისისა და პოლანდიის სამხედრო ხომალდების დახმარებთან გარაუდობდა. ისევე როგორც წინა წლებში, სპარსეთის ჯარს ორმუზისათვის ბრძოლებში ფარსის მფლობელი ალავერდი ხანი სარდლობდა, რომელსაც მაღე მხარში მისი უფროსი ვაჟიშვილი, ასევე გამაჰმადიანებული იმამ-ყული შეფლიანე ამოუდგა. სპარსეთის ჯარისადმი მამა-შვილ უნდილაძეების ერთობლივი ხელმძღვანელობის ხელშესახებმა შედეგებმა არ დააყოვნეს: ჯერ პორტუგალიელთა მიერ ძლიერ გამაგრებული ქალაქი ბენდერ-აბასი იქნა აღებული, რითაც კოლონიზატორთაგან განთავისუფლდა სპარსეთის სანაპირო ყურისა, ხოლო ამას მოჰყვა 1616 წელს სოხარისა და 1619 წელს — რას ელ ხაიმუს პორტუგალიელთაგან განთავისუფლება. წარუმატებელი აღმოჩნდა კოლონიზატორთა ფლოტის მოქმედებაც სპარსეთის ყურეში: იგი ჯერ 1601 წელს დამარცხდა მასკატთან პოლანდიის ესკადრასთან შებრძოლებისას, ხოლო შემდეგ ინგლისელებმა იგი ორჯერ — 1612 და 1615 წლებში დაამარცხეს სურატის მახლობლად. ამან გამოიწვია 1619 წლის ივნისში პორტუგალიის დიდი ესკადრის შემოსვლა სპარსეთის ყურეში რუი ფერეირა დ'ანდრადის მეთაურობით. მიუხედავად ამისა, 1620 წლის ბოლოსათვის ორმუზის კუნძული, რომელიც პორტუგალიელთა ციტადელს წარმოადგენდა, ფაქტიურად ბლოკირებული აღმოჩნდა, რადგან კუნძულის მოპირდაპირე სპარსეთის სანაპირო ალავერდი ხანის ხელში იყო, ხოლო ფორტი, რომელიც პორტუგალიელებმა ბენდერ-აბასის დაკარგვის შემდეგ სასწრაფოდ ააგეს კუნძულ კეშმზე, საიდანაც ორმუზი წყლითა და სურსათით მარაგდებოდა, ალყა შემორტყმული იყო იმამ-ყული უნდილაძის ჯარის მიერ. პორტუგალიელთა დასაყრდენი ორმუზის სრუტეში შესული რუი ფერეირის ესკადრა იყო, რომელიც ერთობ დაძაბულ ვითარებას მინიმალურად აწონასწორებდა, მაგრამ გარნიზონის წყლითა და სურსათით შეუფერხებელ მომარაგებას იგი მაინც ვერ აბარებედა.

ასეთ ვითარებაში ესპანეთის მთავრობა იძულებული გახდა მკაცრად მოეთხოვა ალყის მოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ომის დაწყებით იმუქრებოდა. აქ იმამ-ყული უნდილაძის პოლიტიკურმა გამჭრიახობამ და სამხედრო გამოცდილებამ იჩინა თავი: 1622 წლის თებერვლის დასაწყისში მან თხოვნით მიმართა ბენდერ-აბასში შესულ ინგლისის ხომალდების კაპიტნებს მხარი დაეჭიროთ მისი ალყისათვის ზღვიდან. 11 თებერვალს იმამ-ყული უნდილაძის ხელქვეითმა სპარსულმა სამხედრო ნაწილმა ალყა ააგო ორმუზის ციხე-სიმაგრის აღების აღსანიშნავად გამართულ ბანკეტზე, რომელსაც ინგლისელი სამხედრო ატაშე პერბერტი ესწრებოდა“ (იხ. ბ. გიორგაძე, „დე კასტელის ალბომისა და ცნობების გამო“, 1977, გვ. 14-15). საფუძვლიანად გვეჩვენება მოსაზრება იმის შესახებ, რომ შაჰ აბას პირველის ერთხანს ერთგული უნდილაძეების მის საწინააღმდეგოდ სამოლოო შემობრუნებასა და ღალატს, ისევე როგორც შეთქმულთა მისწრაფებას დროულად ეძიათ შური მტარვალი სპარსის წინააღმდეგ, დიდად შეუწყო ხელი 1620-1624 წლებში შირაზში დატრიალებულმა ტრაგედიამ. არსი თეიმურაზისა და უნდილაძეების მიერ შაჰ აბასის საწინააღმდეგოდ შემუშავებული გეგმისა, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობდა, რომ, ფილიპე მეოთხის თანხმობის შემთხვევაში (რაც ნ. ირბახის ელჩობას უნდა გამოერკვია), იმამ-ყული ხანს, როგორც მთავარსარდალს ორმუზში განლაგებული სპარსეთის ჯარისა, ხელი უნდა შეეწყო ამ რეგიონში ესპანეთის იარაღის წარმატებისათვის, რათა შემდეგ იგი ქმედითად გამოეყენებინათ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ინტერესებისათვის.

საქართველოს ძნელებედობით გამოწვეული ეს შეთქმულება, ვფიქრობთ, უშუალოდ უკავშირდება იმ მკაცრ კონსპირაციას, რომელსაც ქართველი ელჩი მადრიდში საქმიანობისას თვალნათლივ ამჟღავნებდა, რადგან, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „საქმე ეხება ბევრი ქრისტიანის ყოფნა-არყოფნასა და არაერთი პროვინციისა თუ სამეფოს დაღუპვასა ან აღდგენას“, ახალმოძიებული დოკუმენტური მასალის გათვალისწინებით, იბადება კითხვა: თვით ნიკიფორე ირბახის ელჩობა და მისი შედეგები რაღაცნაირად ხომ არ უკავშირდება იმ ცნობილ ფაქტს, რომ შაჰ აბას პირველის ზედმიწევნით კეთილმეგობრული დამოკიდებულება მის მიერ აღზევებული ალავერდი ხან უნდილაძის შვილების მიმართ მისი მემკვიდრის აბას მეორის დროს უკიდურესად მტრული გაწყვეტილებით შეიცვალა და ამ ტრაგიკულად დასრულდა, კერძოდ, იმამ-ყული ხან უნდილაძისათვის? ხომ არ იყო ეს შედეგი ნიკიფორე ირბახის დასავლეთ ევროპაში საიდუმლო ელჩობის მიზნების გახმაანებისა? ერთ-ერთ საბუთში, რომელიც „პროპაგანდა ფიდეს“ არქივში გამოვაგ�eნეთ, ლაპარაკია ღალატზე, რომელიც საქართველოში უკან დაბრუნებისას კონსტანტინოპოლში ნიკიფორე ირბახის მიმართ ჩაიდინეს მისმა ბერძენმა თანამგზავრებმა. საბუთში, სამწუხაროდ, არ არის მითითებული, თუ რით გამოიხატა ეს „ღალატი“, მაგრამ ესპანეთის არქივში გამოვლენილი სათანადო მასალის განხილვისას ეს ცნობა ერთობ სიმპტომატურად გვეჩვენება. ყოველივე ეს, ცხადია, დაზუსტებაშესწავლას მოითხოვს, და თუმცა სიმაკლას არქივში მოძიებული დოკუმენტური მასალის შინაარსი ზემოთ მოყვანილ პიპოთეზურ მოსაზრებათა დაშვების საფუძველს იძლევა, სავსებით მართებული ჩანს პროფ. ვ. გაბაშვილის დასკვნა იმის თაობაზე, რომ „მხოლოდ იმდროინდელი (საქართველოსა და) ირანის შინაგანი და საგარეო პოლიტიკური ვითარების ყოველმხრივი გათვალისწინება-შესწავლა მოგვცემს შესაძლებლობას დავადგინოთ უნდილაანთ ფეოდალური სახლის დამხობა-განადგურების ნამდვილი მიზეზები“.

4. თურქეთის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ თეიმურაზ I-ისეული გეგმა

საარქივო საქმეში არსებულ სხვა საბუთებს შორის არაერთია ისეთი, რომლის შინაარსი საგანგებო განხილვასა და კომენტარს საჭიროებს, მაგრამ აქ მოკლედ შევეხებით ესპანეთის სახელმწიფო საბჭოში ქართული ელჩობის მიერ წამოჭრილი საკითხების ორჯერადი განხილვის შედეგებს. პირველი განხილვა მოხდა 1627 წლის 29 ივლისს, ხოლო მეორედ ამ საკითხებზე საბჭომ იმავე წლის 20 სექტემბერს იმსჯელა. ნ. ირბახის ინფორმაციის საფუძველზე ფილიპე მეოთხისათვის შედგენილი ზემოთ განხილული ბარათი, სამწუხაროდ, უთარიღოა, რის გამო ჩირს იმ დროის დადგენა, რომელმაც განვლო ამ ბარათის შედგენიდან ქართული ელჩობის საკითხების პირველ განხილვამდე სახელმწიფო საბჭოში. დროის ამ შუალედის დადგენას ალბათ არცთუ ისე არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საინტერესოა, რომ მის მიერ გამოყენებულ ორ ზემოხსენებულ ღონისძიებას შორის შინაარსობრივად სწორედაც რომ არსებითი ხასიათის სხვაობა აღინიშნება, მართლაც, თუ „ბარათში“ საქართველო-ესპანეთის ერთობლივი ძალებით სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრების პოლიტიკურ მიზანშეწონილებაზეა საუბარი, სახელმწიფო საბჭოზე მსჯელობენ არა სპარსეთის, არამედ... თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივი გალაშქრების აუცილებლობაზე.

ერთი შეხედვით, ასეთი მეტამორფოზა თითქოსდა მოულოდნელი და გაუგებარი უნდა ჩანდეს, მაგრამ მისი ნამდვილი მიზეზი კარგად არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ უთიერთობა ესპანეთ-პორტუგალიასა და სპარსეთს შორის იმხანად ჭეშმარიტად კონფლიქტური ხასიათისა იყო, ეს კონფლიქტი მაინც ეპიზოდური გახლდათ და გაცილებით ნაკლებშნიშვნელოვანი იმასთან შედარებით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ კათოლიკურ სამყაროში „№ 1 მტრის“ — სარაცინების მემკვიდრე თურქეთის წინააღმდეგ მომავალ შებრძოლებას. ცნობილია ისიც, რომ უძლიერესი კათოლიკური სახელმწიფოები რომის პაპის მეთაურობით თურქეთთან მომავალ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში სპარსეთს თავის პოტენციურ მოკავშირედ განიხილავდნენ და, ცხადია, რომ პაპო ალბოსავლეთში თავის ამ გლობალურ პოლიტიკას საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებს ვერ დაუჭვემდებარებდნენ.

ასეთ ვითარებაში რაღა რჩებოდა ქართველ ელჩს, გარდა იმისა, რომ აპყოლოდა დასავლური ქრისტიანული სამყაროს „ძლეერთა“ პოლიტიკურ ფერხულს და მხარი აეგა მომავალი ერთობლივი გალაშქრების გეგმისათვის თურქეთის წინააღმდეგ. რომელიც საქართველოსათვის იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, სპარსეთთან შედარებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდა.

თუმცა ვერც იმის შესაძლებლობას გამოვრიცხავთ, რომ თურქეთზე ესპანეთთან ერთობლივი თავდასხმის გეგმა (სათადარიგო დანიშნულებისა იმ შემთხვევისათვის, თუ სპარსეთის წინააღმდეგ გამოიწვევი ასეთივე გეგმა მიუღებელი აღმოჩნდებოდა და ესპანეთის ხელისუფალთათვის) საქართველოშივე დროულად გათვალისწინეს და ესპანეთის სახელმწიფო საბჭოში მისი განხილვა ქართველი ელჩის მიერ იყო შეთავაზებული, რაზეც, ნაწილობრივ, ზოგიერთი ახალმოძიებული საარქივო საბუთის შინაარსიც მოწმობს. ასე იყო თუ ისე, თურქეთზე საქართველოსთან ერთობლივი თავდასხმის პრაქტიკული განხორციელების შესახებ ესპანეთის სახელმწიფო საბჭოში ბევრი იმსჯელეს. საბჭოს პირველი სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ ქართველი ელჩის მიერ დასმული საკითხები თავდაპირველად საჭირო სიღრმითა და ოპერატიულობით ვერ შეუსწავლიათ და, ამდენად, რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად სხდომისათვის სათანადოდ ვერ მოუმზადებიათ. ამიტომ საბჭომ თავის სამ წევრს (გრაფ დე ლემმის, ჰერცოგ დე ფერრიასა და დონ ხუან დე ვილიელას) საგანგებოდ დაავალა საფუძვლიანად გასაბერებოდნენ ქართველ ელჩს, მოესმინათ მისთვის და საჭირო შეკითხვებიც მიეცათ, ხოლო ამ გასაუბრების. შედეგი საბჭოს მომავალი სხდომისათვის მოეხსენებინათ.

მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, პაექრობა ქართული ელჩობის შესახებ ესპანეთის სახელმწიფო საბჭოს ამავე (პირველ) სხდომაზე გაიმართა და ერთობ ინტენსიური ხასიათისა იყო. ეს პაექრობა, როგორც ჩანს, იმასაც თვალისწინებდა, რომ საბჭოს ზემოთ მითითებული სამ წევრს სრული წარმოდგენა ჰქონოდა იმ საკითხებზე, რომლებზეც ყურადღება უნდა გაემახვილებინათ ქართველ ელჩთან მოლაპარაკებისას. საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობის საკითხზე საბჭოს არაერთმა წევრმა გამოთქვა თავისი მოსაზრება. კერძოდ, კარდინალმა საპატამ აღნიშნა, რომ ნეაპოლსა და რომში ადრეც უნახავს ჩამოსულნი ასეთი წერილებით და ბევრ მათგანს დიდი თურქის (სულთნის) ჯაშუშებად მიიჩნევდნენო. მან იმედი გამოთქვა, რომ რომში გაერკვევიან ამ წერილების შინაარსში და გადაუგზავნიან მათ გრაფ დონატეს ანდა თვით ჰერცოგ ალბას (ნეაპოლში), რათა ისინი ყოველივე ამის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ.

მარკიზ დე მონტესკლარესმა შემდეგი მოსაზრება წამოაყენა: კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის არსებული სხვაობის მიუხედავად, იბერიის მეფის განზრახვა მისი უდიდებულესობის (ფილიპე მეოთხე) საზღვაო ძალების შემწეობით თურქეთზე თავდასხმის შესახებ მხარდაჭერას იმსახურებს, რადგან თურქეთი საერთო მტერია. მაგრამ იბერიის მეფის წინადადებებში ყოველივე არ არის გარკვეული, თუნდაც ის, შეეფარდება თუ არა ამ განზრახვას მისი ძლიერება? ამიტომ დასახელებულმა სამმა პირმა (ლემოსმა, ფერიამ და ვილიელამ) უნდა შეისწავლოს, ჩაიწეროს და მოგვახსენოს ყოველივე, რასაც გვთავაზობს იბერიის მეფე და, გარდა ამისა, თან დაურთოს თავისი მოსაზრებანი იმის თაობაზე, თუ რა სახის დახმარებას თხოულობს ელჩი მისი უდიდებულესობისაგან და როგორ არის გააზრებული ამ დახმარების გამოყენება. ამ საკითხებზე შესაფერისი დასკვნის შემდეგ ელჩი სათანადო წერილითა და თანმხლები პირებითურთ ნეაპოლს უნდა გავამგზავროთ ვიცე-მეფესთან, რომელმაც, თუკი ყოველივე ამას საფუძვლიანად მიიჩნევს, თვითონ უნდა გაგზავნოს ლევანტის საქმეებში ჩახედული კაცი იბერიის მეფესთან, რათა იქაურობა თავისი თვალით იხილოს, მოუსმინოს მას და შეუთანხმდეს.

პერცოგ სან ლუკარმა აღნიშნა ამ საქმის დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოსა და კათოლიკური სარწმუნოებისათვის, მაგრამ აღიქვა იგი როგორც სათუო-საგარაუდო, თუმცა განსახორციელებლად დასაშვები ღონისძიება. მან შესთავაზა საბჭოს ქართველი ელჩისა და მის თანმხლებ პირთა ჰერცოგ ალბასთან გამგზავრება და მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოში სანდო კაცის წარგზავნა, რომელიც ადგილზე გაეკვეთოდა ვითარებაში, მოლაპარაკებას აწარმოებდა ყველა საკითხზე, მათ შორის ამ ქვეყნის ესპანეთისადმი დამორჩილების ფორმის თაობაზე, კათოლიკური სარწმუნოების სასარგებლოდ. საბოლოო გადაწყვეტილება ამ პრობლემასთან დაკავშირებით ახალ შოლაპარაკებას საჭიროებს. საერთოდ კი თავდასხმა თურქებზე შავი ზღვიდან კაზაკების, ესპანეთის გალერებისა და ევროპის სხვა კათოლიკე ხელმწიფეთა ძალების გამოყენებით, შესაძლებელი საქმეა.

დონ ფერნანდო ხირონმა ამ ღონისძიებისადმი, საერთო ჯამში, უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა, რადგან, მისი აზრით, ამას ესპანეთის სხვა, უფრო დიდი სამხედრო კონფლიქტებში ჩათრევა შეიძლება მოჰყვეს შედეგად.

მარკიზ დე ინოხოსა, პირიქით, ძალიან დიდ იმედებს ამყარებს ამ ღონისძიებაზე, რადგან მას უსაბრალო ორ ადამიანთან, რომლებიც ჩახედულნი არიან იბერიის საქმეებში და ინფორმირებულნი იბერიის მეფის ძალების შესახებ. მას ეს საქმე საჭიროდ მიაჩნია, მის განხორციელებაში რომის პაპიც არის დაინტერესებული.

გრაფმა დე მონტერეიმ აღნიშნა, რომ თურქებს ამჟამად შინაარეულობა აქვთ იმპერიაში და მათზე თავდასხმა სწორედ ახლა, სარწმუნეობის დაცვის მართებული საბაბით, ედგად ხელსაყრელი იქნებოდა. ვიდრე საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მას მიაჩნია, რომ უნდა გაიგზავნოს სამი პირთაგნი ადგილზე ყველა შესაძლებლობის გამოსარკვევად, ხოლო ქართველი მეფის წერილი და მის მიერ წარმოგზავნილი ელჩობა ცნობად იქნეს მიღებული.

აღმსარებელი (ფილიპე მეოთხისა), დონ ვილიელა, ჰერცოგი სოგორბა და სხვები ძირითადად დათანხმნენ ამ წინადადებებს და ხაზი გაუსვეს ესპანეთის მეფისა და კათოლიკური ეკლესიისადმი საქართველოს დამორჩილების ფორმის გამორკვევის აუცილებლობას.

ესპანეთის სახელმწიფო საბჭოში ქართული ელჩობის მიერ დასმული საკითხების განმეორებით ანუ დამაჯერებელ განხილვას თითქმის ორი თვის შემდეგ, 1627 წლის 20 სექტემბერს დაუბრუნდნენ. უპირველეს ყოვლისა, საგანგებოდ გამოყოფილი სამკაციანი კომისიის მიერ შედგენილ საბუთებს გაეცნენ, ხოლო შემდეგ მოუსმინეს და შეკითხვებიც მისცეს თვით ქართველ ელჩს, კერძოდ, შემდეგი შინაარსისა: შეძლებს თუ არა ინფორმის მეფე 5000 ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქრის გამოყვანასა და სწრაფი დარტყმის განხორციელებას თურქების წინააღმდეგ კაპადოკიისა და ვიფინიის მიმართულებით, რადგან ამ უკანასკნელთა ძალები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ისინი მსწრაფლ მოუყრიან თავს ქართველებზე ბევრჯერ უფრო ძლიერ ლაშქარს; როგორ იქნება დაცული დანარჩენი პროვინციები ქვეყნისა სპარსელთა მოსალოდნელი თავდასხმისაგან; სპარსელთა მიერ წართმეული ოლქები რა ფორმით დაუბრუნდება საქართველოს; რა ფორმით ცნობს იბერიის მეფე თავის მორჩილებას რომის პაპის მიმართ?

ამ და ზოგიერთი სხვა შეკითხვაზე ქართველმა ელჩმა, კერძოდ, შემდეგი პასუხი გასცა: იბერიის მეფე მის უდიდებულესობას (ესპანეთის მეფეს) დაემორჩილება როგორც ვასალი; თურქები ახლა არცთუ ისე ძლიერნი არიან, დარტყმა კი ფარული და სწრაფი უნდა იყოს, რათა ვერ მოახერხონ მომზადება და ჯარის თავმოყრა; იბერნი (ანუ ქართველნი) სიტყვას იძლევიან, რომ დაიწყებს თუ არა ეს საქმე, ისინი ბოლომდე ერთგულნი დარჩებიან მისი; მათ თავდაპირველად 1000 კაცის გამოყვანა შეუძლიათ, ხოლო შემდეგ ძირითად ლაშქარს პროვინციებში შეკრებენ; მას (ელჩს) თან აქვს წამოღებული თავისი მეფის საგანგებო წერილი რომის პაპისადმი, რომელშიც მის მიმართ პატივი და თაყვანისცემაა გამოხატული; იგი (ელჩი) სიამოვნებით გაემგზავრება ნეაპოლს ამ საქმის გასაგრძელებლად.

სახელმწიფო საბჭო კმაყოფილი დარჩა ქართველი ელჩის პასუხებით და დაადგინა: გამოუყონ მას თანამგზავრები; გარდა ამისა, ეთხოვოს აგრეთვე ორ იტალიელს აღმოსავლეთში გაემგზავრონ სახარების საქადაგებლად, რისთვისაც ყოველივე აუცილებელით უზრუნველაყონ.

ჯ. ვათეიშვილი.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“, № 175.



დავუდ-ხან უნდილაძე (კახეთელის ალბომიდან).

შეთ ტყვედ ჩაუვარდათ თვით რუი ფერეირა, რომელიც მაღალი რანგის სხვა პორტუგალიელ ოფიცრებთან ერთად, როგორც პოლიტიკური მძევალი, ინგლისელებმა სურატში გადაგზავნეს. ერთი კვირის შემდეგ იმამ-ყულიმ სადესანტო ნაწილები გადასვა ორმუზის კუნძულზე, რომელთაც იერიშით აიღეს მთავარი ქალაქი კუნძულისა, ხოლო პორტუგალიელთა გარნიზონი, რომელიც ციტადელში ჩაიკეტა, ორი თვის შემდეგ (23 აპრილს) იძულებული გახდა დანებებულიყო. შაჰ აბასმა დიდად დაუფასა იმამ-ყული უნდილაძეს ეს სამსახური ხანის წოდებისა და შირაზის მფლობელის თანამდებობის მინიჭებით. მანვე შეუწყო ხელი სპარსეთის შაჰის კარზე იმამ-ყული ხანის, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს დიდებულთაგანის, აღზევებას.

მაგრამ ამით არ დასრულებულა ორმუზის ეპოპეა, რომელსაც დიდი გამოძახილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით კი მადრიდის სამეფო კარზე, სადაც იგი სპარსეთის ყურეში პორტუგალიელთა კოლონიური სისტემის რღვევის უტყუარ სიმპტომად მიიჩნიეს. მე-17 საუკუნის მომდევნო თითქმის ორი ათწლეული ამ პროგნოზის ისტორიული მართებულობის დამადასტურებელი აღმოჩნდა. უნებურად ბადდება კითხვა: რა კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა ორმუზის პრობლემასთან ქართულ ელჩობას ესპანეთში, თუ იგი სპარსელებს ორმუზში დამკვიდრებიდან (1622 წ.) თითქმის ხუთი წლის შემდეგ (1627-28 წ.წ) განხორციელდა?

საქმე ის არის, რომ ნიკიფორე ირბახის დასავლეთ ევროპაში გამგზავრებას უშუალოდ წინ უსწრებს პორტუგალიელთა მიერ ორმუზის რეგიონში საომარი მოქმედების განახლება და მათი სისხლისმღვრელი შეტაკებები სპარსეთის ჯართან. ასეთი რამ შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენთვის უკვე ცნობილმა რუი ფერეირამ თავი დაალწია ტყვეობას. ტყვეობიდან გაქცევამა რუი ფერეირამ შემოიკრიბა ორმუზის რეგიონში გაფანტული პორტუგალიელთა სამხედრო შენაერთები და მიდგარი წინააღმდეგობა გაუწია სპარსეთის მოიერიშე ძალებს. ეს წინააღმდეგობა იმდენად ეფექტური და შედარებით ხანგრძლივი აღმოჩნდა, რომ პორტუგალიელებმა გარკვეული დროის მანძილზე მოახერხეს ისევ მიეტაცებინათ სპარსელთაგან სოხარი და ხორ-ფაკანი, ხოლო ომანის ყურის სანაპიროზე, კერძოდ, ჯალკსა და ბენდერ-აბასს შორის შედარე სპარსული სოფლები აღეგავათ პირისაგან მიწისა და, ერთდროულად, ხელი შეეშალათ ორმუზის კუნძულზე დამკვიდრებულ სპარსელთა საგარეო ურთიერთობისათვის.

ორმუზის რეგიონში შექმნილ სწორედ ამ კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება ქრონოლოგიურად ნიკიფორე ირბახის ელჩობა დასავლეთ ევროპაში. ცხადია, რომ ქართულ-კახეთის მეფის მიერ გონივრულად გააზრებული ეს დიპლომატიური აქცია არა იმდენად რუი ფერეირას ამბოხების წარმატებულობაზე იყო გაანგარიშებული, რამდენადაც იმ გადაუდებელ და ქმედით დახმარებაზე, რომელსაც იგი ფილიპე მეოთხის და... სპარსეთის მხრივ მოელოდა. პარადოქსად ეღერს იმხანად თეიმურაზის მიერ სპარსეთიდან რაიმე დახმარების მიღების შესაძლებლობაზე აზრის დაშვებაც კი, მაგრამ მისი რეალურობა, ვფიქრობთ, ჭეშმარიტ ფაქტებზეა დამყარებული.

როგორც ზემოთ განხილული საარქივო საბუთიდან ირკვევა, რუი ფერეირას ორმუზის რეგიონში საბრძოლო მოქმედების ლოკალიზაციისა და დროულად ალაგმვისათვის სპარსელთათვის ხელი შეუშლია 1625 წელს მარტყოფის ველზე გამჟღავნებულ ქართველთა შეთქმულებას შაჰ აბასის წინააღმდეგ. ამ ფაქტისა და ახალმოძიებული სხვა საარქივო საბუთების შინაარსის გათვალისწინებით შესაძლებლად გვეჩვენება დავუშვათ, რომ ქართველთა შეთქმულება შაჰ აბასის წინააღმდეგ მარტყოფის ველზე მხოლოდ ნაწილობრივ გამჟღავნებულა, რადგან არანაკლებ მნიშვნელოვან ნაწილს ამ შეთქმულებისა თეიმურაზსა და ალავერდი ხანის შვილებს, შირაზის მფლობელ იმამ-ყული ხან და განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგ დაუდხან უნდილაძეებს შორის არსებული ფარული ურთიერთობა წარმოადგენდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ურთიერთობის დამყარებას თავდაპირველად გიორგი საკაკაძემ შეუწყო ხელი, რომელთანაც უნდილაძეებს ახლო დამოკიდებულება ჰქონდათ (ვ. გაბაშვილის ნაშრომში „უნდილაანთ ფეოდალური სახლი მე-16-მე-17 ს.ს. ირანში“ დამოწმებულია მე-17 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის ცნობა, რომლის მიხედვით დაუდხან უნდილაძე გარეული იყო მარტყოფის აჯანყებაში).

როგორც ირკვევა, პრაქტიკული ურთიერთობა შეთქმულებს შორის ეპიზოდური გახლდათ და გაცილებით ნაკლებშნიშვნელოვანი იმასთან შედარებით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ კათოლიკურ სამყაროში „№ 1 მტრის“ — სარაცინების მემკვიდრე თურქეთის წინააღმდეგ მომავალ შებრძოლებას. ცნობილია ისიც, რომ უძლიერესი კათოლიკური სახელმწიფოები რომის პაპის მეთაურობით თურქეთთან მომავალ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში სპარსეთს თავის პოტენციურ მოკავშირედ განიხილავდნენ და, ცხადია, რომ პაპო ალბოსავლეთში თავის ამ გლობალურ პოლიტიკას საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებს ვერ დაუჭვემდებარებდნენ.

ასეთ ვითარებაში რაღა რჩებოდა ქართველ ელჩს, გარდა იმისა, რომ აპყოლოდა დასავლური ქრისტიანული სამყაროს „ძლეერთა“ პოლიტიკურ ფერხულს და მხარი აეგა მომავალი ერთობლივი გალაშქრების გეგმისათვის თურქეთის წინააღმდეგ. რომელიც საქართველოსათვის იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, სპარსეთთან შედარებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდა.

თუმცა ვერც იმის შესაძლებლობას გამოვრიცხავთ, რომ თურქეთზე ესპანეთთან ერთობლივი თავდასხმის გეგმა (სათადარიგო დანიშნულებისა იმ შემთხვევისათვის, თუ სპარსეთის წინააღმდეგ გამოიწვევი ასეთივე